

# ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅՈՒԹ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՊՐԵՄԻԱ-ՀԱՅՈՒԹ-  
-ՅՈՒՆԻՎԵՐՏԻՏԵՏԻ ՊԵՏԱԿԱՆ-



-1919-

136030 № 4

# କୁଳାଳାଙ୍ଗାର

ଶ୍ରୀମତୀ ପିଲାଲେଖା  
ପ୍ରକାଶକାରୀ

୨୦ ଜାନୁଆରୀ ୧୯୧୨ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପାତା



ପ୍ରକାଶକାରୀ





# ს ა რ ჩ ე ბ ი

I — შეხვედრი, — სტრათი . . . . .	1
II — ბუნებას, — ლექსი მიმქრალისა . . . . .	3
III — ორაგულის ცხოვრება, — ფაფ-ფშებელისა . . . . .	4
IV — მხიარული შობა, — მოგონება გიმნაზიელისა, — მოთხილისა ად. ზარანისა, (დასასრული) თარგმ. მ. ჭდაშვალისა . . . . .	16
V — კანდელზე, — (თარგმანი) თამარ კარბელაშვილისა . . . . .	27
VI — ბრძენი, — (იგაფი) ად. მირანაშვილისა . . . . .	34
VII — ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი, — (დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო) დ. ბოცვაძისა . . . . .	36
VIII — ქართული მწერლობა, — (მთკლე შიმისხიდვა) მ. ჭანა- შვილისა . . . . .	40
IX — ასტრონომია, — (შემდეგი), დე. გომართელისა . . . . .	47
X — ჩინეთი, — დ. ბურჟულაძისა . . . . .	58
XI — ამერიკის გემის „ტიტანიკის“ დალუპვე . . . . .	63
XII — გასართობის: შესანიშნავი რიცხვი და აღსანი . . . . .	64

— + + + + + —



## გ უ ნ ე ბ ა ს.

აზო ბუნებავ! რა ლაშაზი ხარ,  
როს განთიაღი შეფერავს ცისკარს,  
ამომივალ მზის ნათელი სხივი  
მყინვარს ჩაჰელუნის, შეაკრთობს სისხაძს.

მაშინ ვარსკვლავი ცის დასავალზე  
თვალის წარმტაცად ციმუიმებს, ქრბა...  
გონება ფერს შობს გრძნობათ ამშლელსა,  
გულის ყვავილი ნელ-ნელ იშლება.

ნაზო ბუნებავ, შენი შეენებით  
რად ვერ სტკბებიან ადამის ძენი?  
შენს კალთათ შორის რად ილვრის ცრემლი,  
რად არის მწარე სიცოცხლის დლენი?

მიმქრალი.

აუგა მომხავ ფერ და მის მისამართ აუგა და მის  
აუგა აუგა მის მისამართ აუგა და მის  
აუგა მის მისამართ აუგა \* \* აუგა მის მისამართ  
აუგა მის მისამართ აუგა აუგა მის მისამართ აუგა და მის  
აუგა აუგა მის მისამართ აუგა და მის  
აუგა მის მისამართ აუგა აუგა მის მისამართ

# ორაგულის ცხოვრება.

არაგვის წიაღზე.

## I.

ლიკი, მადლობა ღმერთსა! დაილოცა ღმერთი  
რომ შშვიდობით, მოვალწიეთ. შშვენივრადა  
ვგრძნობ ჩემ თავსა. დავისვენე სულიერად, და-  
ისვენა სხეულმაც; ბედნიერება უფრო იმის  
გამო მიათყეცდება, რომ გზა-გზა რამდენსამე ხიფათს გადაფრ-  
ჩით უვნებლად, შშვიდობიანად. საშიშროება-კი არც აქ გვა-  
კლია. მინდა გულით იმ ლოდს ქვეშ შევუტდე და იქაური  
წყალი შევისუნთქო; თუმც დალოცეილია არაგვის წყალი, ერ-  
თი იმისი წევთი ჩემთვის ბედნიერებაზე ბედნიერებაა, მაინც  
იმ ლოდს ქვეშ განსაკუთრებით ბედნიერად ვგრძნობ შუღამ  
ჩემ თავს და ვერ გამიბედია იმის გამო, რომ წყეული მწავი  
შეძვედრია მანდ ხშირად და მხოლოდ დეთის განგებას გადუ-  
რჩნიერა. მაინც და მაინც როგორ შეედრება ზღვაში ცხოვ-  
რება აქაურს?!.. აქაური ერთი წამის სიცოცხლე მირჩევნია  
მთელი წლის იქაურ ცხოვრებას. შეიძლება ამას იმიტომაცა



ვერძნობდე, არაგვი იმიტომ გვიყვარდეს, აյა ვართ კრისტენი ბული; ჩვენი შშობელი დედა არაგვია; — სახელიც არაგული არაგვისაგან დაგვრქმევია. მიხარიან მე და ჩემმა ღმერითმა რომ სხვა სახელი არა გვქვეიან.

— არ შემიძლია გამოვსთქვა, აგიშერო ჩემი უძლური ენით, როგორ მიყვარს თვითეული ლოდი, რომელიც წინ გვეხეწუბა, — თვითეული ჩანჩქერი, ტანზე რომ აღმასის შოლტად მხედება და სულსა და გულს უაღრესის სიმოვნებით, ბეღნიერებით ავსებს, — ეუბნებოდა დედალი ორაგული მამალს, რომელიც იმის შორი-ახლოს იდგა პირ-აღმა ჩვეულებისამებრ და ხარბად ჰხაპავდა ლაყუჩებით არაგვის წმინდა, ან კარა, გემ-რიელ წყალსა.

— არა სტუკი, თაფლი და შაქარი შენს პირსა! ფიცი რად უნდა? სად მღაშე ზღვის წყალი და სად ეს უკვდავების წყარო! მთელი ერთი კვირაა, რაც მტკვარში შემოვლგი ფეხი: სულ სხვასა ვრძნობს ჩემი სული და სხეული და აյ ხომ სრულ ბეღნიერებას განვიცდი. ოლონდაც დღეს-დღეობით ჩვენ, ჩემო კარგო, ბეღნიერები ვართ, თუ ეს ბეღნიერება არ ამო-გვშამდა: ვინ იცის — ერთი მოიგიერანოს თავი ცაშა და დაუ-შვის კუკის პირული წვიმა და მთებმაც გამოგზავნოს პირ-ჭუ-ში, დალერემილი ლვარები, მოსქედეს მიწის ზვავები, დაკვი-წყოს არაგვია ქვისა და ნათობის \*) სროლა. შარშინ განა ცოტა ორაგულები დახოცა ლვარებია?! ყველა დაიღუპა, ვინც-კი ვერ მოასწრო წმინდა, აუმღვრეველ მდინარეებში შესვლა, თავის მოფარება. მე და შენ რომ ვანხეცურაში \*\*) არ შეგვესწრო, ისვევ ავვევსებოდა ლამით, მიწით, პირი და თვალები, როგორც ეს დაემართა მრავალ ჩვენ ნათესავს და თანამოძმეს; დაიღუპნენ საწყლები... მაგრამ, მაღლობა ღმერთსა, უფალს დაუდევია

\*) ნარიყი ხეები.

\*\*) მდინარეა, არაგვს ერთვის.



წესად: სიცოცხლეს სიკვდილი სდევს თანა, ხოლო შერწყმული ბას—უბედურება; მხიარულობას—დარღი, ნალველი,—სოჭვა მამალმა თრაგულმა.

— მოხვედით მშვიდობით, მოხვედით მშვიდობით, ძმობილებო, მეგობრებო: როგორ ძვირი სანახავი გაქხდით?!— მიესალმა თრაგულებს კანარი

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა, კეთილი იყოს ჩვენი მოსვლა და შენი დახვედრა. სხვატრივ როგორ გიკითხოთ, კანარო, ჯავარო, არ-ავო, თევზთა მფარველო კარავო?!— მიესალმნენ კანარს თავის მხრივ თრაგულები:— როგორ სუხოვრობ, მტრიანობა, შიშიანობა ხომ არ არის?

— ეჭ, მადლობა ღმერთსა, დღემდის კარგად გახლავართ: არაფერი მიშავს, საზღოც არ მაყლია და არც დავიკლებ; სოფელი ღონიერია — თუ კაცი გონიერია, — ხომ გაგიგონიათ, ჩემო კარგებო?!— ასე. მტრიც არ დაელევა ჯერ უკაბალ ადამიანს და მერე ჩვენებრივ გემრიელი ხორცის პატრონს თევზს ხომ, რაღა თქმა უნდა, კველის ჩვენსკენ უპერტია თვალები.— კაცები თავისითვის იყოს, ეს წავები, წავები, ეს კუცხლში დასწვავები.— შინაური მტრი საშინელებაა, — იქვე შენს მიდამოში მცხოვრებელი, — წარმოსთქვა კანარმა და თანაც თვალი იქით მიაპყრო, სადაც მურწა დაემალა.

— წავზე უარესი მტრი ჩენ ადამიანი გვყაეს. რამდენნირი მანქანა აქვს მოგონილი ჩვენს შესაპყრობიდ. არა გაქვს დაკვირვება? ნუ თუ არ იცი? ჩვენ, თრაგულები, ძალიან ნაწვნევები ვართ და სწორედ განგების ძალით გადავარჩენთ ხოლმე თავს ამ მანქანებს. აბა იფიქრე რამოდენა მანძილი უნდა გამოვიაროთ ზღვიდან აქამიმდე და თითო ფეხის გადადგმაზე ასი და თასი მტრი გვიყდის. ზოგი ჩანგლით, ზოგი თოკით, სხვა შადით; ეს სასროლი გადე ვართ, ეს მოსასმელით; მცხოვრებს, გარდა იმისა, რომ ფაცერს გვიდგამენ იქ, სადაც არაგვი ერთვის მტრიარს, შემოულით სხვანირი გუდულის მზგავ-



სი ბადეები, რომელსაც საორაგულე ბადეს ეძახიან. გუვერნატორული  
შეუსწავლიათ ჩვენი ზე; იციან კარგად, რომ თანამდებობა  
როცა წყალი აღიდება, ქვა და ნითესი მოაქვს, მაშინ პირ-  
ალმა, ნაპირზე ვდგებით; საშიშროების ვერიდებით, მეთვეზეც  
მოაყოლებს ამ ბადეს ზევიდან თავქვე, რომ გუდალაში თავი  
ჩაგვაყოფინოს და შემდეგ მშრალზე ტყაპინი გაგვადინოს. მე  
პირადად ორჯელაც გავები ამ ხაფანგში, მაგრამ მალე იმოუ-  
ზრი, მოვასწარი ამოსკელა, ვიდრე მტერი მოასწრობდა ბადის  
ამოლებას მდინარიდან და მშრალზე გადატანას.

— ახლა ადვილად ალარ გაექმი ბადეში; ხერხი ვისწავლე, როგორ უშველო ჩემ თავსა,— სთქვა მამალმა ორაგულმა.

— მაგნაირ ბადისა მე არაფერი ვიცი; სხვა ბადეებიც მა-  
გრე არგად არ მაშინებს, გარდა მოსახლეობისა; ჩანგლებს ხომ  
მაშინვე გადაელერავ. ერთის ჩანგლის ნამტერევი ჯერაც ლა-  
უშჩში მაქვს დარჩენილი; წინად მიშლიდა და ახლა ალარც  
კი ვერძნობ, თუ აკინეული რომ მაქვს დარჩენილი; ისენირად  
გაიკეთა ბუდე ჩანგლის ნატებში და არის თავისთვის, მე არა-  
ფერსაც არ მიშლის, — სთქვა ჭანარმა.

— ეგ! ჩანგლი არაფერი, ქაჯან; აბა ჩანგალი ის არის,  
აյ რომ მთის ხალხს სკოდნია; აი ნახეთ: ტანზე კიდევაც მე-  
ტყობა იმისგან იარა. ნუ გვონიათ, რომ ის პირში მოგვდოსთ;  
არა. მე ვნახე ისა და კარგად დავისწავლე, როგორც იყო გა-  
კეთებული. დიდი, სქელი ჩანგალია, იმის გატება შეუძლე-  
ბელია: გრძელ ხის ტარზეა დაგებული და მანამ ტანზე არ  
გიჩველერავს, თვალით ვერც-კი დაინახვა, რადგან მისი პატ-  
რონი მხოლოდ მაშინ ამუშავებს, როცა წყალი მღვრივეა, —  
სთქვა დედალმა ორაგულმა.

— თუ არაფერი სჩანს, მაშ კაცი საიდან-ლა გხედავს  
წყალში? — გააწყვეტინა სიტყვა ჭანარმა.

— ჯოხით, სახრით, დობილო! მე კარგად მახსოვს, რომ  
სახრის წვერი ბარე სამჯერ მომხვდა ზურგზე და მერე ჩანგალ-  
მა მიჩველიტა გვერდში. დაილოცა ღმერთი, რომ გეზად მო-

მხედა ჩინგალი და მხოლოდ ტყავი ამაგლიჯა, გაუსტოტირდება  
გაცარდი იქით ნაპირზე, თორებ ჩემი საქმე ცუდილ ჩვენებოდა  
და ამ ამბავს კელარ გიაშობდათ, ჩემთ კარგო!..

— ფხა, აღმასია საჭირო ძარღვებში, რომელიც არ გა-  
კლიათ ორაგულებს და არც კანკებს. მაში ჩენა და ლოქო  
ერთი ვართ? თავის დღეშიც არა. მე ჩემის თვალით მინახია,  
როგორ მოსდებია ლოქოს ჩანგალი, და ის-კი გატრუნულა,  
როდი ვაინძრევა—ვასწევს მეოთეს თოქა და ისიც ხესვით  
მისდევს თანა. მე-კი კეტნით არ ვიტყვი, სულ დავკლევავ  
იქაუ ზობას და იმდენს ვეცდები, რომ თავს გავინთავისუფლებ:  
გავაინძრევ—გამოვანძრევ, გავერავ—გამოვკრავ და ამასობაში ან  
ლაყუჩი გაიხვევა, ან ჩანგალი გატყდება, და თავს უშეველი.  
ლოქო უბედურია, უბედურზე უბედური. მარტო კამაში აქვს  
შეო, სხვა არაფერში,—ამბობდა კვალად კანარი.

ორაგულები და ჭანარი რომ გაასში იყვნენ დიდი მორე-  
ვის წინ, რომელსაც უკითხელი კლდე თავზე დატხედავდა და  
ზედ კლდის თავზე-კი უასტვი და მუხა იყო მოსული, — სრია-  
ლითა სულდებოდნენ ფიჩქულები, კაპუეტები, მურწეები, ნა-  
ფოტები და გველანები. ხოლო იქვე ქვის ქვეშ კალმახები  
გაძირებულებოდნენ და დასკინოდნენ მოსაუბრე ჭანარს და  
მის აშხანევებს: — რა ვაეკაცები ხართ, რა ვაეკაცები! მოიცათ,  
ქაჯან, რა გაჩქარებთ: ზოგი ბჭობა შემოდგომაზე დაიკვეხეთ,  
როცა საბაასოდ გაემგზავრებითო! ამბობდნენ კალმახები ლი-  
მკლით.

四

ორაგულები ღმერთსა სოხოვდნენ: „ღმერთო, გვაშორე  
ლვარ-თქაფი, ნუ აადიდებ არაგვს, ისე რომ სუნთქვა გვიძნელ-  
დებოდეს და ვიზჩებოდეთო!“ ხოლო ფშაველი ბეწინა, გა-  
თქმული მეოცევზე, სულ წინააღმდეგსა ნატრობდა; ნატრობდა  
ისე ამღვრეულიყო არაგვი, რომ კუპრის დამზგავსებოდა, რად-

ვან ეს იმისთვის ხელსაყრელი იყო. გაიქცეოდა არაგვზე, ტელავია ში ჩანგალს და სახრეს დაიკერდა და დაუწყებდა ძებნას ჯაჭამისა გულს. ბეჭინამ კარგად იცის, რომ ორაგული თავის დღეში პირ-თავებევ არ დადგება, არა ედ პირ-აღმა დგას მუდამ, და სახრესაც იმ ყაიდაზე უსვამდა, რომ მოსდებოდა, შექხებოდა ორაგულს; სახრის შეხებით ისე ატყობდა, როგორც ხელით,— სახრეს თავისკენ უსვამდა; როცა სახრე „შევარდებოდა“ ორა- გულზე, იმის სახე უბრწყინდებოდა და ჩანგალს იმარჯვებდა, მაგრამ თავის თავს არ ენდობოდა: ერთხელ კიდევ მოუსვამ- და სახრეს, რომ შეემოწმებინა სინამდვილე. როცა—კი დარ- წმუნდებოდა რომ მართლა ორაგული ვარაუდით, „ანდით“— როგორც თავად ამბობდა, ვადააწოდებდა ჩანგალს, ვამოჰკრავ- და, ჩანგალი ვეერდში მოედებოდა ორაგულს და რკალივით მოხრილს ვამოათრევდა შშრალზე. ბეჭრჯელ დაქრილიც წა- ვლია ბეჭინას ორაგული. ბეჭრჯელ პირველად სახრის მოსმა- ზე შექხვედით იმაგულს, ხოლო მეორედ რომ მოუსვია სა- ხრე, ორაგული იქ არა დახვედრია. ეს უფრო მაშინ მომხდა- რა, როცა არაგვი კარგად არა ყოფილი ამღვრეული. როცა წყალი ძალიან მღვრივეა, ვამარჯვებული მაშინ არის ბეჭინა. ახლა როგორ უხარიან ბეჭინას, როცა ორაგულს დაიკერს, წელში გაიშლება, ამაყად, თავ-მომწონედ გამოიცქირება, თუმც თავ-მოსაწონებელი, რომ კარგად იცოდეს, არაფერი აქვს. ერთ ფურთიან ორაგულს 3—3 პ. 50 კ. ჟყიდის ადგილობრივ დუ- ქნებში. შემოდგომით ხომ იმ ფასსაც არ მისცემენ, რადგან ორაგული მაშინ „სოხრის“, ე. ი. ქვირითხა ჰყრის, ივალმუ- ფია, მელოგინე; ბოლო ქვებზე და ქვიშაზე ცემით ძლიერს და ეტკობა, ისე აქვს გალეულ—გაცვეთილი, კბილებ-დამტვრეულ საჩქერელს მოუგავს. კიდევ კარგი თუ მამალს ორაგულს შექც- და მაინც, ის არც გამხდარია და არც ხოლო აქვს გათახსი- რებული, რადგან მამალი ორაგული ქვირითხა არა ჰყრის და მხოლოდ დედალ ორაგულს მშობიარობის დროს თვალ-ყურა აღევნებს, სდარაჯობს. მაგრამ მამლის მოყვლა აღვილი არ არის.

ორაგული თხრის იწყებს შემოდგომაზე. სექტემბრის წამი ნევრიდან, ხ ლხში თქმულებაა: ხარი, ირემი და ორაგული უადგენ ჯაბრებული არიან და ცდილობენ აღავერდობას (დღეობა კანეთში), რომ ერთმა მეორეს დაასწროს, ირემთა, „იყვიროს“, ხოლო ორაგულმა „ბოლო გაიქნიოს.“ ე. ი. ქვირითის ყრის შეუდეგს. მყითხველმა, რა თქმა უნდა, იყის, რომ ქვირითიდან ორაგულები ჩნდება. თუ ორაგული ყველა ჯურის წვრილ-თვეზე ჰყოვნის კულაპავს და აჩანაგებს, სამაგიეროდ ეს წვრილი თვე-ზები ქარისგნად ამ დროს ორაგულს თან დასდევენ და ძალიან ბევრს ქვირითს უჭიმენ. ორაგულის ქვირითს უფრო კალმახი ემტერება. ორაგული ამას ჰქედავს, კარგად ჰგრძნობს და ალბად იმიტომ ჰმალდავს წყალში, ქვიშაში და ქვებში ჰყდავს ქვირითს, რომ ადვილად არ შეუპარონ თვეზებმა. ქვი-რითს, როგორც იორაგული, ისე ყველა სხვა თვეზი, გორმო-ბით იშორებს; მაგრამ, როგორც იორაგულმა იყის ამონემება-ერთი ადგილისა ქვირითის დასაყრელად, ისე არც ერთმა სხვა ჯურის თვეზემა არ იყის და აშიტომ საცა იორაგულის ნათხა-რია, იქ ღრმა ორმოა გაერთებული, დიდრონი ქვებია ხხუნით, ზედ ქნევით გადაბრუნებული. შემოდგომით არავი წმდება (წმინდავდება) და ამ ორმოებს გამოცდილი თვალი ძალიან ადვილად იპოვნის წყალში, ხოლო ორაგულს მუდამ ვერ შე-ჰქედებით მის ნათხარში; იგი დრო და დრო განჩდება ამ სა-თხრელ ორმოში, უფრო ღამე და დილით, როცა პირველად მხე მოჰკრავს და სხვებს მიატრქევს იქ, საცა იორაგულის ნათხა-რია; დანარჩენ დროს დაცურავს შორი-ახლოს, ეძებს საზრ-დოს, თუმცა-კი ამ დროს ქვირითი მაინც მოსდის ტანიდან. ორაგულის მელოგინეობა, თუ შეიძლება ასე ითქვეს, გრძელ-დება სრულ ერთ თვეს. მეოვეზე ბეჭინას შესწავლილი ჰქონ-და ორაგულის „ნათხარი“ და ღამ-ღამობით „ავლებდა თვალისა.“ სანათად თან ჩრაქეს (არყის ქერქი) ატარებდა; მეორე იმხანა-ვი მიუნათებდა, რომ გაეგოთ ორაგული, ნათხარში იყო თუ არა. თუ მოასწრობდა ნათხარში, მაშინ იღბალი ბეჭინასი: და-

სცემდა ბარჯას \*). ზევიდან და მოქელავდა. მაგრამ შეწინაშე მარტო ამ გზით თევზობას არა სჯერდებოდა, ოქტომბერის მიერთ ფაცერსაცა ჰქონდა, საორაგულე ფაცერს, რომელიც მხოლოდ დედალ ორაგულებს იკერდა, რაღან მამლები ბეჭინის გაკეთებულს ლასტებზე ზედა ხტებოდნენ. ბეჭინის უკვირდა, რომ მამალს ორაგულებს ვერ იკერდა და არც იკოდა ეს გარემოება რით აესხნა იმ დრომდე, ვიდრე ერთხელ ტამე ლაყუჩებით ლასტებზე დაკიდებული ორაგული არა ნახა; მაშინ-და მიძხედა, რომ დედალი ორაგულები დასუსტების, გამხდრობის გამო თურმე ცუიოდნენ ბეჭინის ნაოსტარტარ ფაცერში, რაღან ჯანი აღარ მოსდევდათ მამალ ირაგულებით ლასტებზე გადამხტარიყვნენ.

ბეჭინის ახალი დრო ვერ აქმაყოფილებდა და ეს უკმაყოფილება უათკეცუდებოდა იმით, რომ ძველი, მოხუცი კაცების სხვან თითქმის დაუჯერებელი ამბები ჰსმენოდა. იმათ ტუუილს ვერ შესწავებდა, რაღან თავისი პირადი გამოცდილებაც იმას უკარნახებდა, რომ წინად, ძველ დროში თუარებელი უნდა ყოფილიყო ორაგული; თურმე პატარ-პატარი წყლებშიც კი იკერდნენ; ყველას, მდიდარს თუ დარიბს ჯუფთად (გამოსული) შენახული ჰქონდა ორაგულის ხორცი წლითი-წლობამდე და დღეს რის ტანჯვა-წვალებით უნდა იპოვნოს თვით არაგვში ორაგული, რომ დაიჭიროს. გული ბრაზით ექსებოდა, რომ მუდამ წელს სულ ნაკლებს და ნაკლებს ორაგულსა ჰსხდებოდა და გულ-ამოსკენით წამოიტყოდა: „გასწუდა თვეზი! ამ ოცა-ორმოცი წლის შემდეგ იქნება ორაგული თვალით დასანახად გვენ ტრებოდეს. რაღაც სალიანს ამბობენ, ეს სულ იმის ბრალია. ნეტავი შემაძლებინა იქ მივსულიყავი და ისე მიმენგრივ მოშენგრივა, რომ თავის დღეში ველარ გავკეთათ

\* ) ორთით ხეხე გაკეთებულია გალესილი რკინა ისე, რომ ზევიდან დაუშვას კაცი ირაგულს, მხოლოდ ნახევრამდის გასპრის; ეს კი საემარისია, რომ მოკვედეს. მონაღირესაც ეს უნდა მხოლოდ შეახე რომ გააპის, მაშინ შეიძლება ნახევრაი წყალმა მოიტაცოს.

«ქ ფაცერი, გამელო თევზისთვის დაკეტილი კარი და უფლის თავისუფლად ემუშავა, გამრავლებულიყო!» საშინლად წყვირი და ეს ბერინას და დიდ, მიუტვებელ კოდვად უმვლიდა იმათ, ვისგანაც ასეთი ბუნების დაჩაგვერა და იმის ძალთა შეზღუდვა მომდინარეობდა. საწყალი ბერინა ტყუილად სისხლი იფუქებდა, გულში იგუბებდა ბრაზსა და ნაღველს. სალიანის გამგებლებამდე მისი ხმა, გულის ძრახვა არა სწყდებოდა. გალარიბდა წყალი თევზით, ტყე-ნაღირით; მას თვეის თვალითაც კარგად ჰქედავდა, რწმუნდებოდა საჯუთარის გამოცდილებით მოელი ორმოცი წლის განმავლობაში და ვერავერსა ჰშევლოდა თავის, უძლურის ფიქრით და ჯანითა. რა სანახვია ტყე, თუ ნაღირი არ იცის? ჰქითხვდა იგი თვეის თავს: —არაფერი, უპასუხებდა თითონევე. ან წყალი, რაღა წყალია, თუ თევზი არ იკის? მეტაცრე ის წყალი, ის მღინარე, რა მღინარებაც ირაგული არ იცის; მიტომ მც. ოორს, თუმც არაგვის ტოლია, წვრილი თევზით მდიდარი, მაგრამ რაღვანაც ირაგული არ იცის ოორს არაგვის ეტრიბარი, სახელი არა იქვს. —კურთხეულ თამარ-მეფეს სდომებია ძალად გაეჩინა ოორში ირაგული, მიტომ დედალ-მამალი ირაგული ჩაუსმერინებია, თანაც ბოლოში ფაცერი ჩაუდგამს, მაგრამ ირაგულები ისევ უკან დაბრუნებულიან და ფაცერში ჩაცივნულან. რატომ არ უნდა იკოდეს ოორმა ირაგული? — ჰყეირობდა ბერინა—იორიც მთის წყალია, ქვებზე და კლდებზე მოდის, სასმელად არაგვზე ნაკლები არ არის, მაგრამ არ იცის ირაგული და არა. რომ დაამწყვდიო, რო დღეს ვერ გასძლებს, მოკედებაო. გაიხსნებდა ძველ თქმულებას ირაგულზე, მაშინდელს, როცა თითქმის ხალხს არ-უ-კი სკოდნია, არა ჰქონია ხეირიანად გაღებული გემო ირაგულისა. ამ მშავეს ძველი თქმულება ასე მოგვითხრობს: ხევსურმა ირაგული დაიკირა, მშრალზე დააგდო. ამ დროს ერთი ფშაველი წაადგა თავსა. თევზი ჯერ ისევ კოცხალი იყო, იხლახნებოდა, ინძრეოდა, ხევსური აბრიყვებს ფშაველს და ეუბნება: „შაგჟამს ირაგული, ფშაველო!“ და თან ხევ

სური უკან-უკან იწევს. ფშაველი ამ იყო საქმის ხაზერთი მარცვანი გრამ ხევსურს ხამად აჩვენა თავი და კითომ ეშინიან — ვარე, ვარე, — იძახის. მიახლებს ხელს ორაგულს და თან უკან გადატატება. ხევსური-კი უფრო უკან-უკან იწევს, რათა ფშაველს შიში გაუდიდოს გულში და შორიდან ეძახის „ნუ, ფშაველო, ნუ ახლებ ხელსა, თორო შეგვამს ორაგულიო.“ მაგრამ ფშაველი ეშმავი გამომდგარი ხევსურზე. როცა უნაბავს, რომ ხევსური ვეღარ დამტკვეთ, დაუტაცხის თორაგულისათვის ხელი და გაქცეულა; ჯერ თურმე კარგა ხანს ეძახოდა ხევსური „შეგვამს, ფშაველო, ორაგულიო.“ რომ გაეგდებინებინა ხელიდან და როცა დაუტკვეთ, რომ ფშაველი ხელს აღარ უშვებდა, თუნდა ორაგულს კიდევ გადაეყლავა, — თან ლანძლვა-გინებაც მიუყოლებია: „აბა მაშინ იქნებოდა ბლომიდ ორაგული, მაშინ გაძლებოდა კაცის გული თვეზაობითაო!“ — ამ სიტყვებით დაამთავრებდა ბეჭინა ხევსურის და ფშაველის ამბევის მოგონებას.

### III.

ასე მაისის ნახევრიდან დაწყებული გორგობისთვის ნახევრიმდე ორაგულები თავისუფლად, ბელნიერად სცხოვრობდნენ; მდ. არაგვში. რამდენჯერმე წავმა დაუტია, მაგრამ უსხლტებოდნენ ხელიდან, სიმარდე და მკვეთრი ცურვა ჰშველოდათ, რამდენჯერმე გაუხახუნა ზურგზე ბეჭინას სამონადირო სახრემ, მაგრამ წინად ნაწვნევები ჰგრძნობდნენ საშიშროების სიახლოვეს, ფაცა-ფულით გაცურდებოდნენ მდინარის მეორე ნაპირს, საცა ბეჭინას სახრე ველარა სწვდებოდათ. ორჯელ თუ სამჯერ ისე აიძლერა არაგვი, რომ მიწისაგან კინალამ დაიხსნენ და თვალებიც კინალამ დაეთხარათ, მაგრამ თავს იმით უშველეს, რომ მიატანდნენ ამ დროს, ე. ი. როცა არაგვი იმღვრეოდა, წშინდა პატარა ხევებს, რომელნიც არაგვში ერთვოდნენ და სულს იმად შესართავში იბრუნებდნენ.



დედალი და მამალი ორაგული ცალ-ცალკე საქორობონ  
ნენ. ვიდრე თხრის დრო არ დადგა, ამ დროს-კი შაბალი  
ორაგული დაფაცურებული იყო და დედალ ორაგულს თვალს  
არ აშორებდა, ხან-და-ხან დედალი ორაგულის ლოგინში ისიც  
შეისეირნებდა, მოავლებდა თვალს, დაათვალიერებდა, თუ რა  
მდენად ასრულებდა იგი თავის დედობრივს მოვალეობას. რო-  
ცა-კი დედალი ორაგული საზროს საძებრად გამოვიდოდა,  
ნათხარიდან მავალი ორაგულიც იმასთან შორი-ახლო იყო  
და ისიც დედალ ორაგულთან ერთად დასდევდა დასკერად  
წვრილ თვევზებს. ორივნი თითქოს ჯავრს მით იყრიდნენ  
წვრილი თვევზებისას, რომელნიც დედალ ორაგულს ქვირითს  
უკამდნენ, ორაგულების ჩამომავლობის რიცხვს ამცირებდნენ,  
აჩანაგებდნენ. ქვირითიდან, რომელსაც ასე გულ-მოდგინედ  
ეპურობოდნენ ორივე დედალ-მამალი ორაგული, გამოიჩე-  
კნენ პატარა ორაგულები, ჰიპყინები, ისინი პირველ ხანში  
ძნელიდ გამოიცნობოდნენ, თუ რომელ ჯურის თვევზე ეკუთვ-  
ნოდნენ.

აცივდა. ფიჩულს და ჭანარს მოსწყინდათ არაგვში  
ცხოვრება; „თხრა“ იმათ უკავე იენისში და ივლისში გაათავეს,  
მავრამ აქტომბრის. გასვლამდე უკან მტკვარში დაბრუნებას  
არა ფიქრობდნენ, ემნელებოდათ არაგვის გაშორება. მხოლოდ  
კალმახი არა ფიქრობდა არსად წასვლას; იმან არც-კი იცოდა  
სად იყო მტკვარი: ჭირივით ეჯავრებოდა ქვეით-ბარად ჩამო-  
სელა, იგი მხოლოდ იქა ჰერძნობდა ბეღნიერად თავს, საცა  
ჩანჩქერების ხმა ისმოდა, არაგვი გირჩევად ეთამაშებოდა ზეირ-  
თებს, ლოდი-ლოდზე რკო აყორებული, აჩახტული და ციცი  
წყაროები ჩუბჩუბით უერთდებოდნენ არაგვს.

დაუდგათ ორაგულებსაც დაბრუნების დრო. ძალიან ეგ-  
ძიმებოდათ იმათ განშორებოდნენ საყვარელ მდინარეს, მაგ-  
რამ ულმობელ კანონს ბუნებისას ვერ ეწინააღმდეგებოდნენ.  
რომ ემძიმებოდათ ორაგულებს ეს იქიდან სჩანდა რომ უკან  
დაბრუნების დროს სკენებ-სკენებით მისკურავდნენ ქვეითკენ



და ერთის საათის სავალ გზას ერთ კვირას ანდომებდნენ ენდომებდნენ და მორევს, ყველა მორევს, ყოველ ჩანჩქარს და წყაროს ეშვერლი. ბებოდნენ, ეს იქიდანაც სჩანდა, რომ პირ-უკუღმი მოსცურია დნენ, ბოლო თავეჭვე ჰქონდათ, ხოლო თავი აღმა, მდინარის სათავისა და მოებისაკენ მიშართული.

ვაჟა-ფშაველა.

680 020 8608





## მეიარული უოგა.

მოგონება გიმნაზიელისა

(თარგმანი)

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი).



აქმე ის არის, როგორ უნდა მოვაწყოთ ეგ  
უოველივე, ჰა, კოზია?

— უჩიას უნდა შეუკეთოთ, უკელაფერს  
მოახერხებს; — სოჭა კაზიშირმა.

— მართალს ამბობ, — მოწონების ნიშნად თავი დაიქნია  
იანმა, — მეც დაგეხმარებით! არ დავიძინებ, ჯანი გავარდეს!  
აბა, მაშ წავიდეთ, ბიჭებო!

პალტოები ჩავიცვით და მშიარულის ხმაურობით სახლი-  
დან გავედით.

— სად მიღიხართ? — შეგვეცითხნენ ბავშვები.



მე თითო დაუქნიე: — ტსს. . მოგვიცადეთ, კარგზობრივობა  
მოვიღონეთ!

წავედით სოფლისაკენ, სადაც ვაჭარი ურია სცხოვრობ-  
და. პან იანს ჩვენზე მეტად უხაროდა.

ხარხარებდა, ხელებს აპარტურნებდა და წამ-და-უწუმ ვა-  
იძოხოდა: — მე ეს აზრი თავში არ მომიციდოდა, ღმერთსა ვფი-  
ცვ!

ურიამ პატარა დუქანში შეგვიყვანა. დრევუსსეიმ აუქსნა,  
რისთვისაც მივედით.

— ფეე! .. — წამოიძახა დახელოვნებულმა ვაჭარმა, უთუოდ  
საღამოსათვის მოვასწრო?!

— ხუთის საათისთვის...

— ხუთისათვის?! ცველაფერი — სანთლებიც, შანდლებიც,  
ხილულიც!

— მაშ! მაშ! ..

— მერე სად უნდა ვიშოვნო ცველაფერი?!

— ე... ე... ე, უბრალო საქმეს ნუ აზეიადებ! — უთხრა  
იანმა და მხარზე ხელი დაჭრა. კონიაკი გადახუბე და ახლავე  
საქმეს შეუდექი.

— ფეხის ქირას რას მიბოძებთ? — მოჰყვა ვაჭრობას.

ნარდიდ გაურიგდა რვა მანეთად.

ებრაელმა ჩაიცვა გრძელი ქურქი, თავზე წითელი შალი  
მოიხვია და წელზე სარტყელი შემოიჭირა. ამ ტანისამოსში  
დედაქაცა ჰგავდა.

— ნავაჭრი სად გაახლოთ?

— აქ შენთან მოიტანე. ჩვენ თითონ მოვალო და წავი-  
ღებთ. მხოლოდ იციდე, ებრაელო არ მოგვატყუო, თორებ  
ხომ იცი..; — და თან მუშტი დაანახვა.

— რასა ბრძანებთ, მოტყუება რა საკადრისია! — წამოიუკი-  
რა. ებრაელმა: მივშვი ხომ არა ვარ!

— მაშ, ეგრე. — გესმის, ცველაფერი კარგი იყიდე.

ჩိုးန တွေအလဲ-ပိုင်္ခြာ နှာဂျာ ဤပုရေးလေ့ မာრေးကြပါ ဖော်နှီးမြတ်စွာ လာ ပုလားချိုင်းပုံးနှင့် စာစွဲအပူ ပေါ်ပါ ဒုက္ခလျှော်လွှာ လာ ဘုရားလျှော်လွှာ စာ-  
ပိုင်္ခြာ နှုတ်တွေပါ.

— အသေး နာဆိုပါ နိုင်တွေပါ ဗုံးနှင့် ဒုက္ခလျှော်လွှာ! ပါ ကျ ဖုနာနပါ  
ပျော်ပျော်တွေတော်. အပေါ်, နှေ့ပေါ်တွေ, ပုမာန်ပျော်လွှာပါ!

ჩိုးန အိုင်းရှေ့လာလ ဝေးပုရေးလျှော်လွှာ စာစွဲပါ. ပုလားချိုင်းပုံးနှင့်  
ဝေးပုရေးလျှော်လွှာ တော်ပါ ဗုံးနှင့် မြတ်စွာမာရ်လွှာပါ: ပါ အသေး တော်-  
ပျော်လာလ လာသာရှုပုရော်လွှာ လာ ကြုံပါ.

## X.

— စာဇ ဗျာဒိုက အမိန္ဒာ နာနီ? — ဂျောက်နာ အောင်-ပုရေးကြပါလွှာခါမီ.

— ჩိုးန? နာ... နာ... နာ... — လော်ပျော်လွှာပါ! — တိုးန စာ-  
မြတ်စွာလျှော်လွှာ ဒာတွေပုရေးလျှော်လွှာ, — ဗုံးန အောင်-ပုရေး လာ ကျ-  
လွှာ မြတ်ပုရေးနာ ပုလားချိုင်္ခါ. အောင် ပုရေးကြပါလွှာ ပျော်ပျော်လွှာ  
ရွှေ့ချို့လွှာ ခါမီပါ.

— ကုန်ဂါ, ကုန်ဂါ, စာရှိပျော်လွှာ ခါ မိမိနှောမီ! ပါ ဒုက္ခလျှော်ရွှာ, —  
ပျော်ပျော်လွှာလွှာ မြတ်စွာမာရ်လွှာ ပေါ်မီ လာ ခုပံ့ပါလွှာ ပို့ပံ့ပါ အမြတ်.

— ဒေါ်မီမီ လွှာ စာအတိုး ပို့ပံ့ပါ. မာနေမလွှာ-ကျ ဂေါ်လွှာတွေတော် လု-  
ကုန်ပါ ဒုက္ခလျှော်, — ဂျောက်နာ အောင် ပုရေးကြပါလွှာ ပါ လွှာမာရီး:  
— ကျော်, အော် ဒုက္ခလျှော်, လျှော်ခွာ မြတ်ပါ ဤလွှာ လာ ဂုဏ်ပိုင်္ခြာ.

ဤလွှာပါ ဂုဏ်ပိုင်္ခြာ ပို့ပံ့ပါ ပျော်ပျော်လွှာ ပါ အောင်-  
ပျော်ပျော်လွှာ ပို့ပံ့ပါ. အောင် ပေါ် စာလွှာပါ ဂုဏ်ပိုင်္ခြာ လာ အေ နှေ့ပါ မြတ်လွှာ  
စွာအောင်လွှာ လာ ပို့ပံ့ပါ.

— မျှ လာ အေ ဖုံးလွှာပါ နာမြတ် နှားဆွော်လွှာ စာတော်မာရီလွှာ;  
ပုလားချိုင်္ခြာ ဖော်ဆိုပါလွှာ ပို့ပံ့ပါ; လုပ်ချော်လွှာပါ ပို့ပံ့ပါ နှော်-  
လှာ လာ, ဤပါ နှော် မြတ်လွှာ, မြတ်ပိုင်္ခြာ ပို့ပံ့ပါ စာပြုလွှာ-နာမြတ်လွှာ  
ပို့ပံ့ပါ စာလွှာလွှာ ပို့ပံ့ပါ.

ပို့ပံ့ပါ နှော်လွှာ ပို့ပံ့ပါ.

— မြတ်ပိုင်္ခြာ ပုမာန်ပျော်လွှာ ပို့ပံ့ပါ, နှော်မြတ်လွှာ ပို့ပံ့ပါ  
ကျမီ, — မိမိအတော် ဂုဏ်ပိုင်္ခြာ ပို့ပံ့ပါ, လုပ်ချော်လွှာပါ-ပို့ပံ့ပါ  
လွှာ ပို့ပံ့ပါ ပို့ပံ့ပါ!

— დიალ, — დავემოწმე მე, — თან ძალიან სადა ხასრათს უკუკი უმაწვილია.

— ეტყობა, — განაგრძო კლინქომ, — ჩვენი გვარიც ეგეთია. თუმცა უძელესი გვარეულობისანი ვართ, არ ვამაყობთ, არამე-თუ ახლა, წინადაც-კი, როცა შეძლებულები ვიყავით. მხოლოდ კაზიმირი გამოვერია საიდანლაც ტრაპაზა. — ამ სიტყვებზე ამოიოხრა და მოჰყვა დაბალის ხმით ჩივილს.

— კლინქობი არასოდეს მაგისთანები არა ყოფილიან. ჩვენ გულ-წრფელი ხილხი ვართ; ღარიბები, მაგრამ პატიოსნები. მაგას-კი ბაჭიაობა უყვარს. მინდოდა პანსიონში მიმებარებინა, არ უნდა: სირტყეილიათ. რა სირტყეილია?! ჩვენ მაგისთვის არაფერი გვშეუჩს. უყველაფერს მაგას ვანდომებთ. ჩვენ დაკონკილები დავდივართ და მაგას-კი მორთულს ვატარებთ; დედაც ანებივრებს; ეგ-კი...

აქ ფელიქსმა კიდევ დაიდაბლა ხმა და თითქმის ჩურჩულით მითხრა:

— თქვენ მაინც ურჩიეთ პანსიონში შევიდეს. იქ შენახვა ოდნავ მაინც შეგვიმსუბურებს ხარჯს.

სანადილო ოთახში ისმოდა ბავშვების სიცილი და ხარხარი. პატარი ვანდა გამოვიდა ჩვენთან სიხარულისაგან გაპრინცესულის სახით, მამას მოუჯდა გვერდით და ყურში ჩასწურტულა:

— რა კარგი უმაწვილი ყოფილა! — მამამ ალექსიანად ვა-დაუსვა ხელი აბრეშუმივით თბაზე.

— იი, ექიმმა გვირჩია — მამასა და იანეკის თევზის ქონი ასეითო, ჩვენ-კი ამისათვის ფული არა გვაქვს, — წარმოსოქვა მწუხარებით ფელიქსმა.

დრო მიღიოდა. ჩვენ თაშაშობას თავი დაეანებეთ.

ბავშვები დაიღალნენ და მიწყნარდნენ. იადეიგის ზღაპარს უაბობდა. მე და დრეფუსს კი იანის პირდაპირ ვისხედით ბუ-ხართან და ვტკბებოდით იმის ყურებით

ცეცხლის ალი წითელ ფერსა სკემდა მოამბეს, მისს ფე-



სთით მჯდომარე ანელის და ბუთხუზა ანტუპის. იარჩევის შემთხვევაში ასეთი გამოცდა არ მოიხდია. მიჰყოფილი მისამართი საბოლოო ვანდა.

ოთახში მყუდროებას არღვევდა მხოლოდ შეშის ტკაცა-ტკუპა და იადვიგას ლაპარაკი. მეორე ოთახიდან მოისმოდა კაზიმირის ხერინვა.

პან იანშა შემოაღო კარები და დაგვიძიხა:

— აბა, ყმაწვილებო, დრო არის!

ჩვენ წამოვცვივდით.

— საით გასწიეთ? — შევვეკითხა იადვიგა.

— ჩვენ პან იანთან კოტაოლენი საჭმე გვაქვს, — დინჯალ უპასუბა დრევეცუსსკიმ.

— აბა, წაეიდეთ ებრაელთან. სოჭვა იანშა, აქამდინ მოვიდოდა.

პალტოები ჩავიცეით და წავედით.

— შევენიერი ნაძვი მოვკერით, შემოგვევეხა, და თან ვე-ებერთელა ნაბიჯებს ადგამდა: ხშირ ტოტებიანია! ჰე, — რა დროს გავატარებო! ყმაწვილებო, თქვენი თავი სწორედ ღმერ-თმა მოუცვლინა საწყალ ჩემ დისტულების! რა დაღონებულები იყენებ! ახლა-კი ჰედავთ, რა ამბავში არიან! აქ ახლო-მახლო-ნების დისტულები არავინ გაატარებს დღეებანდელ დღესა-სწაულს; და ამ სიტუაციებზე გაიქნია თავისი დიდი თავი.

— შინ რომ დავბრუნდები, სტასას უამბობ ამ ამბავს; რამდენს იცინებს! როგორ გაუხარდება!

ებრაელი მართლა დაბრუნებულიყო და ყველაფერი ეყი-დნა, რაც-კი მოიპოვებოდა ოლქენიქში: სანთლები, შანდლე-ბი, ტკბილი კვერები, შეშის ვარსკელავები და სხვა მორთუ-ლობა შობის ხისა.

— ყველაფერი მშევენიერია! — წარმოსთქვა პან იანშა. ჩა-მოვართეთ ურიას ნავაჭრი, გაუსწორდით და წამოვედით სახლში.

— შეუმჩნევლად უნდა მივიდეთ, — სოჭვა იანშა. ბავშვე-

პი კაზიმირის ოთახში უნდა შევიტყუოთ, ვიღრე ხელში გადაწილოთ!

ჩვენ მოუწონეთ იან აზრი.

მე და დრევუსსკი შევეღით ბავშვებთან, იანი-კი შეუმინდელად გაბრუნდა სამზარეულოსკენ ნავაჭრით ხელში.

ჩვენი მოვალეობა ყველაზ კარგად შევასრულეთ.

ვახშამს უკან ყველანი შევეღით კაზიმირის ოთახში, სადაც მყითხაობა უნდა გვეთამაშნა. პან იანი, კაზიმირი და დრევუსსკი შეუმინდელად გაიპარნენ ოთახიდან და გარედან კირები გადაგვიყერეს. მე ბავშვებთან დაერჩი სათამაშოდ.

## XI.

ვმკითხაობდით სანთელზე და დამწვარ ქალალდით.

წმინდა სანთელს კოვზში ვაღნობდით. ამ გამღნარ სანთელს ვასხამდით ციფ წყალში, რომელიც იქვე ჯამით გვედგა. სანთელი იყინებოდა და სხვა-და-სხვა სურათს გამოხატიდა. აი ამ სურათზე ვმკითხაობდით.

რეგბს არ მოეჩინავდით ხოლმე!

იადვიგას უმკითხავე: გვირგვინები, გათხოვება, ანელის — მდიდრული ტანთ-საცმელი და მდიდრული სასახლე; საწყალ ვანდას — ოქროს ეტლი, კეთილი ანგელოზი და სხვა.

ჩემ ლაპარაკზე ვანდა იყინოდა და იმის მითენთილ სახეს წითელი ფერი ედებოდა.

ან ტუკის უმკითხავე სამხედრო სამსახური, ტენები და სხვა. ის სკამზე გადილივი და მოპყვა ყვირილს, ეითომ მართლა მხედარი ყოფილიყოს და ცხენზე მჯდარიყოს.

იანის უმკითხავე პროფესორობა, მეუნიკრის ცხოვრება.

პანა ბრონისლავა ყურს გვიგდებდა და ბოლოს წარმოსთვევა:

— ნეტავი არ იქნება — ყველაფერი ახდებოდეს!

— ეს მოუმცდარი მყითხაობა გამლავთ, — ვარწმუნებდი ჩემის მხრით მსმენელებს. დამწვარ ქალალდით ასე ვმკითხაობა-



დით: ქალალდს დაკერავდი კუწါქებად და ამ დაკერალურ კუ-  
ლალდისავან რაიმე ხუხულის ဘაგებდით თევზშე. მერე ლვ-  
წუავდით. დამწვარ ფერფლს თევზშით კედელთან მიეკრანდით  
და ამ ფერფლის ჩრდილზე ვძკრთხაობდით. მკითხაობის შედე-  
ვი აქც მდიდრული სასახლეები, ეტაჟები და სხვა ამისთანე-  
ბი იყო.

უკელაფერს დასაჩული აქვს და ჩვენც გავათავეთ მკითხა-  
ობა. იაღიგა კარებს მიაწვა; კარი დაკერილი დახვდა.

— ეს რა ამბავი? — იკათხა მან გაკვირვებით.

— მე პასუხი ვერ მოვახერხე.

— არ ვიცი... შეიძლება იქ ოთახში კვამლი დადგა.

— მერე კარების დაკერა რა საჭირო იყო? იკითხა ახ-  
ლა პანა ბრონისლავამ. ოთახში სიჩქმე ჩამოვარდა და მეორე  
ოთახიდან შემოვცესმა ხმაურობა და ფაუა-ფუუცი.

მე ველარ მოვახერხე დამალვა, ზურგი მივყუდე კარებს  
და დავიძიხე:

— უოტაც მოითმინეთ. იქ რალასაც ამზადებენ... მოდი, —  
ისევ მკითხაობა ვითამაშოთ!

მაგრამ ჩემმა სიტყვებში უკე შეაშეოთა ჩვენი საზოგა-  
დოება. ანტუკი კარების კუჭრუტანას მივარდა. მაგრამ ვერა-  
ფერი ვერ დაინახა. ანელია და ვანდა მანჯლრევდნენ და  
მეხვეწებოლნენ:

— ვვითხარი, რას აკეთებენ იქა; იქნება თვატრს ამზა-  
დებენ.

— უთუოდ ტანისამოსს იკვლიან! რა კარგი იქნება!

იაღიგა და პანა ბრონისლავა კუთხეში მიდგნენ და ჩურ-  
წულებდნენ ლიმილით.

— მზად არის! — გაისმა უცბად კარებს იქით იანის ხმა, —  
კოზია, გააღე კარები!

გასაღები გადატრიალდა კარებში და კარები გაიღო.

სასტუმრო ოთახში გაჩაღებული იყო შობის ხე.

ჩემს სიკუცხლეში არ შევსწრებივარ ისეთს აღტაცებას,

როგორც გამოიწვია შობის ხემ ყმაწვილებში. პირველი შედეგები სრული სიჩრდე ჩამოვარდა. ან ტუკი, რომელიც კარგქმნს უადასტუმენა ბრს დროს პირველი გაქანდა სასტუმრო თოთხისავენ, ახლა გაჩერებულიყო პირ-დაღებული. პატარა იანექს ბრჭყვინავემა შუქმა თვალი მოსკრა და დედას კალთას უკან ამოეფერა. ვანდა სასოფებით შესკეროდა გაჩაღებულ ხეს, თითქოს ლოკურა აპირებსო. ან ელი იადვიგას მოკრა, იადვიგამ დედას მოჰკიდა. ხელი და თვალებზე ცრემლები მოერია.

ამ სურათში რამდენსამე წუთს გასტანა, შეცდეგ-კი ბავ-შვებმა ასტეხეს ერიამული და ისე წაელალნენ ხეს, რომ კინალაშ არ წააქციოს.

- შობის ხე, შობის ხე!
- ი ამასა ჰქვიან შობის ხე!
- რა მშვერივრებაა!
- ვანდა, აბა, უყურე—იქ ანგელოზი!
- იგერა იქ შაქრის ბატყანი ჰყიდია.
- თაფლის კვერი!

ხო-ხო-ხო,—გაპქონდა რუხრუხი იანის ხმას. ფელიქსი კუთხეში იჯდა და სახე უბრწყინვედა სიხარულით.

— მე ასეთი სიამოვნება, ასეთი მხიარულება ალარსად შინაბავს.

ბავშვების აღტაცება ჩვენც გადგვედო.

— მომეული ხელი!—დიონია დრევუსსკიმ; პანა იადვიგა, ხელი! ფერხული გაეაძათ!

ყველანი ჩვებით ფერხულში. იანიც, პანა ბრონისლავაც ტრიალებდნენ გაჩაღებულ შობის ხის გარშემო და იანი საშინელის ხმით გაპქიოდა, რაც ენაზე მოადგებოდა, ვითომა მღეროდა. პან ფელიქსი იჯდა, ეტყობოდა შეტის სიამოვნებით დასუსტებულიყო.

თამაშობით მოეიქანცენით. ბავშვებმა ახლა შობის ხის გარშემო დაიწყეს სიარული. ყოველი მორთულობა მეტსა და მეტს აღტაცებას იწვევდა. კარებში ფრანცი და მარიამი იღენენ და იცინოდნენ.



အနာ ბန်းမြောက်စလောဒ ဗီလိုက်ရွှေ့ပါး

— ခုံ၊ လာ ယာရွှေ၊ လာ မျှော်ဗြိုင်ရှေ၊ မာဂုရာမ နှစ်နှောက်  
ကျော်... လာ ယာရွှေ လော် သာ်၊ ပါ!

— မျှ ခုံ တုံးမြောက် ဖျော်မီ ဒာရ... — မြှောက်ပေါ်ရှာကျား ပါနံ့၊ မာ-  
ဂုရာမ ဖုန်းဖူးပြောက် မျှော်ဗြိုင်ရှေ ဖျတာဒာနဲ့ ကျော်လွှာ လာ ဂားများ.

— ဝဲလာ စွဲပွဲက ဗိုလ်ဗျားလာ! — စတုံး ဖုန်းဖူးပြောက် လာ  
ကိုမာနာ လာ ယားမိုင်ရှေ လားဖူးပြော နှောက်ပြောနဲ့ တာဖြေလာပါ ကျော်ရှေး၊ ဒား-  
လွှာပါ လာ ဖုန်းဖူးပြောပါ. ဘားမျှော်ပါ ပာတေတာက်လ အုပ်စုလွှော်လွှာပါ.

မြှော်ပါ ၍ သေ သေဆာမြောက်လ အနာတွေ့ပါ လော်ပါ. မာဂုရာမ နှောက်  
တေတာ်-ကုန်လာ သာနတွော ဒာရှေးရှေး သေ သေဆာမြောက်လ အနာတွော လာ မြှော်လွှာ လာ  
မြောက်နှော်ရှေ ကျော် ကျော် ဂာမြောက်လွှာပြောလ မြှော်လှုံးပါ လာ မြှော်လွှာ လာ လျှေ  
ဂားနှော်ရှေပြောလ.

သာနတွော တာန-ဇာ-တာန ပုံးပုံးဖူးပြောပြောလ. တော်ပါ ကျော်နှေးလာ  
ကျော် ဒာနတွောမြောက်လ. နှော် ပုံးပုံးနှော ဂားမြောက်ပြောလွှာပါ ဒေသာဒေ.  
ကျော်လွှာ အမြောက်လွှာ ဒာနလာ လာ ကျော် မြောက်ပြောလ. မျှ မြော်ပါ  
ဂားမြောက်ပြောလ လာ စော်ပြောပါ.

— ဒာတွောပြောလ! — စတုံး ပါနံ့ လာ ပုံးပုံးနှော အမြောက်ပြောပါ.

မြှော်ပါ ၍ သေ ဒာတွောပြော၊ မာဂုရာမ၊ လုပ်ပါ စွဲပြောနှောပြောလ မြှော်-  
လွှာပါ ပုံးပုံးနှော မြောက်ပြောလ လာ နောက်ပြောနှောပြောလ ဒုက္ခန်းပြောလ  
တော်ပါ; အလျော်စော်နှောပြောလ ဂာမြောက်ပြောနှောပြောလ ရှေ့တော်နှောပါ.

— ဟို တော်ပြောလွှာပါ မြောက်ပြောလ အဲ မြောက်ပြောလ မြှောက်ပြောလ မြှော်-  
လွှာပြောလ ဖုန်းဖူးပြောက်ပါ.

— မြော်ပါ၊ — ဦးပြောပါ.

— မြော်ပြောလွှာပါ၊ ိုးပါ မြောက်ပြောလ ဂားမြောက်ပြောလ! — ဒေသာဒေ  
ဒာန ပါနံ့၊ လုပ်ပါ မြောက်ပြောလ လာ အော်ရှေးပါ; — လာ နှော် စော်ပြောနှောပြောလ  
ဂားမြောက်ပြောလ ဒုက္ခန်းပြောနှောပြောလ ဒုက္ခန်းပြောနှောပြောလ.

— ခုံ၊ လားလောက်လာရှေး၊ မြောက် မြှော်ပါ ဒာဂျာပြော! တွေ့မြှော ကုန်  
ဖုန်းပါ ဖုန်းပြောလ လာ အော်ရှေးပါ; မာဂုရာမ မြှော်ပါ မြောက်ပြောလ လာ နှော်-ကျား  
ယာရွှေပါ ဒုက္ခန်းပြောနှောပြောလ...

— လာ အော်ပါ၊ လုပ် ပြော အဲ မြောက်ပြောနှောပြောလ စော်ပြောပါ ဒေသာဒေ  
အဲ မြောက်ပြောလ မြှော်ပါ ဒုက္ခန်းပြောနှောပြောလ... — မြှော်ပါ ဒုက္ခန်းပြောနှောပြောလ

— သူး မြှော်ပါ ဒုက္ခန်းပြောနှောပြောလ ဒုက္ခန်းပြောနှောပြောလ အဲ မြောက်ပြောနှောပြောလ  
အဲ မြောက်ပြောနှောပြောလ မြှော်ပါ ဒုက္ခန်းပြောနှောပြောလ အဲ မြောက်ပြောနှောပြောလ

— არსად არ მოიპოვება ისეთი ნაძვი, როგორც ჩვენს  გარშევაში მიაქვთ ხოლმე აქედან.

— კიდევა სცრულბ!... — გამოეხმაურა ბიძა.

## XII.

მეორე დღეს წიმოსვლა დავაპირეთ.

პან იანს ეაშნა, ვინ გამართა შობის ხე. იადვიგა ალტა-  
ცებით შეჰყურებდა დრუეუსკის. პანა ბრონისლავა გვეუბნე-  
ბოდა.

— რითი გადაგიხადოთ სიკეთე! ოჯ, კაზიმირ, ნეტა შენ ც  
მაგათა ჰეგედე!

ისე გამოვაცილეს, როგორც ახლო ნათესავები. იანსა  
კიდევ გადაგვეოცნა და გვითხრო:

— ზაფხულში მე მეწევეთ! იქ იქნებიან იადვიგა, ვანდა  
და ჩემი ტასა, ხა-ხა-ხა!..

— ურჩიეთ კაზიმირს პანსიონში შევიდეს, წამომჩურჩუ-  
ლი კლინიკამ.

ბავშვებმა დაგვეოცნეს გამომშვიდობისას და ვანდამ და-  
ვვიძია;

— მე თქვენთვის ვიღოცებ!

მარწილში ჩავსხედით, ჩვენთან ჩაჯდა კაზიმირიც, რო-  
მელმაც, მოისურვა რკინის გზის სადგურამდე ჩვენი გამოცი-  
ლება; და გვექინდით თოვლიან გზაზე.

— ნახემდის! — შემოგვესმა კიდევ იანის ხმა.

— კეთილი კაცია, — თქვეა კაზიმირმა, — მაურამ ცოტა  
გლეხსური ყოფა-ჭურვა აქვს.

ჩვენ ხმა არ გვეცით. მარწილი მისრიალებდა ტრიალ  
შინდორჩე.

— ექ, — ამოიოხჩა კაზიმირმა, — ოდესლაც მოელი ეს მი-  
დამოები კლინიკებისა ყოფილია, და ირგვლივ ხელი მოატარა.



მამაჩემს ახლაც საჩივარი აქვს. ერთ-ორ წელიწადის რაჭული ულაშ  
ვიპრუნებთ ძეველ ადგილ-მამულს.

ჩეენ ხმის არ ვიღებდით და კაზიმირმაც შესწყვიტა თა-  
ვის უსახლვრო ტრაბახი. მაგრამ, როცა სადგურშიც გამოეე-  
შვეიდობეთ, იმან მაინც თავი ვერ შეიკავა და გვითარა: — ზა-  
ფეულში მეწვიეთ, მშვენიერი სანატორია ადგილები გვაქვს, —  
მხიარულად გავატარეთ დროსათ.

ჩეენ ახლა-კი მოურიდებლად გადეიხარხარეთ ამ სიტყვებ-  
ზე და ვაგონში ავედით.

არასოდეს ასე მხიარულად არ გამიტარებია შობა, —  
სთქვა დრევეუსკიშ.

— მეც კვერი დაუკარი.

ვაგონში დრევეუსკიმ კაზიმირ კლინჯოზე ჩამოაგდო ლა-  
პარაკი.

— რა საძაგლი მატუუარა პირუტყვი ყოფილია! მთელი-  
ოჯახი თურმე მაგას ემსახურება და ეგ-კა... ჰედავ, როგორ  
იქცევა! კომწიობას უნდება! მე უჩვენებ მაგას სეირს!

— დაანებდე თავი, უთხარი მე ამზანას დასამშვიდებლად,  
— ჩეენ მაგას ხასიათს ვერ გაუსწორებთ. შენი არ ვიცი და მე-  
კი არასოდეს პირში არ დავადგები, რაც უნდა ტრაბახი შე-  
ვაძინო.

— ეშმაქმა წილის მაგისი თავი! და იცრუოს, მე ოჯა-  
ხი მენანება, — სთქვა დრევეუსკიმ გულ-მტკიცნეულობით.

კლინჯ უქმეებს შემდეგ სასწავლებელში ჩამოვიდა და  
კადეც ცრუობდა ხოლმე. მავრამ როცა ზომის გადავიდოდა,  
ჩეენ კვერს დაუკრამდით იმის ტყუილებს: მართალია, მართა-  
ლი. ვრცავით კაზიმირთან და ცელაფერი ჩეენის თვალითა-  
ვნახეთ, რასაცა ლაპარაკობს. ჰეყ, ნეტა გაჩვენა, რა შშვენიე-  
რი ცხენები ჰყავთ?! ერთის სიტყვით, ისეთ ტყუილებს მოჰ-  
კვებოდით, რომ კლინჯს შერცხვებოდა და ერთის კეირით  
ჰაინც აიღებდა ხოლმე ხელს ბაქიობაზე.

8. კლიმიაშვილი.



## ପାନ୍ଦେଳ୍ହୀ.

(ତାରିଖମାନି).



### I.

ଓଡ଼ିଶା ଜ୍ଞାନି କାରୀଶ୍ଵରାଳାଙ୍କି ଲାଭେ ଗୁଣ. ଶିଳ୍ପା ଶତ୍ରୁ-  
ଲାଦା ଓ ଲାକ୍ଷଣ୍ୟବନ୍ଦା. ଶୁଣାରମାଣାରୀ ପ୍ରାଣଦୟ-  
ଦି ସାମିନ୍ଦ୍ରାଳୀ ଗ୍ରହଗିନ୍ଦ୍ରିତ କ୍ରିଦ୍ୟେ ଶ୍ରେଷ୍ଠବନ୍ଦା,  
ଓ ଏ ମଧ୍ୟମ ବାଲବୀର ଜ୍ଞାନକୁ ଅନ୍ତିମିନ୍ଦ୍ରିୟବନ୍ଦା,  
ନାମେ ଅନ୍ତର୍ମୟସମ୍ମଦା.

ମେତ୍ରେଶ୍ଵରନି, ମାତ୍ରମନବେଳ ବ୍ୟାକମା-  
ରିନାମେ ମଧ୍ୟମାର୍ଗବନ୍ଦି, ଦ୍ୱାରୀନିର୍ବିତ ଗବ୍ରପ୍ରେରନଦିନରେ ଥିଲ କୋତିପ୍ରେସ,  
ଓ ମହାରାଜେ, ଶାରୀର ଯନ୍ତ୍ରିତ ଲାଭ, ରାଜପାତ୍ରରୁ ଗନ୍ଧିର ମାନ୍ୟନିର୍ବିତ  
ଚାରିକ୍ଷୁଳୀରେ, ବନ୍ଦାନିର୍ବିତ ପ୍ରେପତ୍ରି କାନ୍ଦରେ ନିରାଳେତ୍ରିବୀରା.

ଫଲ୍ଲେ ପ୍ରେପତ୍ରି ଅଳାର ଅନେତ୍ରେବନ୍ଦା.

— ଏ ରାଜାପୁ ମନିଶଦାରା...

— ଏକନ୍ଦିବା ଦାରୀଜୀ ରେବାର ଗାନ୍ଧିଦା?

— ଏକ ମନ୍ଦ୍ୟଦା କ୍ରିଦ୍ୟେପ, ଓ ଅଛିଲା ଉପିନ୍ଦିକର୍ମବଳ, ମାର୍ତ୍ତିକା-  
ମାର୍ତ୍ତିକା.

— କିମରା... ଏହି ଅର୍ଥପାତାର ଫଲ୍ଲେ, ରାଜମ ରାମରେ ଉପ୍ରେଦୂର୍ଜବାସ-  
ତାବେ ମନ୍ଦ୍ୟବାନ୍ଦ୍ୟବୀତ.

— ମାର୍ତ୍ତିକର୍ମବଳା! ପ୍ରେପତ୍ରି କି ମାନିପୁ ଏହା ଶିଖିବେ... ତୁମରୁ କାନ୍ଦ-  
ରେଲ୍ଲିନ୍ଦ୍ରିୟ ଶାକିଲେତ.

— କାହିଁ ଅଭିନବି? ଓ କାରିତି!

— ଶେଷକର୍ମବଳା ଅନ୍ତର୍ମାଧ୍ୟ ଦ୍ୱାରାପାଦନତ... ଏକନ୍ଦିବା ଶିଳ୍ପା ଭା-  
ଷିଷ୍ଠବାହିରେ...

ასე ლაპარაკობდნენ მეთევზენი; არ იცოდნენ ქართველთა, და ხშირ ბინდამდე არ მოსცილებიან ნაპირს. გიგანტებისა

ბოლოს, როდესაც ქარი ჩადგა და წავი უ-წამოვიდნენ, გადასწყვიტეს დილით კანდელზე ორი მეთევზის გაგზავნა.

ანდრიას, კანდელის დარიჯს, არასოდეს, ბავშობაშიაც-კი არ ენახა ბეღნიერება. დედოსეგან არ იხსოვს არც ალექსი და არც მოვლა. მისი მამა მოუხეშავი და კრიფანგი რამ იყო: თავის სიცოცხლეში სულ იმის ფიქრში იყო, როგორ გამდი-დორებულიყო.

როკეამარინელნი, ლარიბი მეთევზენი, ამბობდნენ, ახალ-გაზდა ანდ-ია, მამის სიკვდილის შემდეგ, დიდ სიმდიდრეს მი-იღებსო. გარდა სამქედლოსი, მას ჰქონდა შშვენიერი სახლი და საქმიან მიწაც: მამა მასს საქმე გამოულეველი ჰქონდა. ყვე-ლა შურის თვალით უურა ჩებდა ბავშეს, რომელიც მახლობელ ქალაქში სცხოვრობდა და ზაფხულობით ჩამოდიოდა სახლში. ბავშეი პირველ-დაწყებით სკოლაში სწავლობდა.

ერთხელ, შობის წინ, ივი საჩქაროდ დაიბარეს როკეამა-რინოში. მხოლოდ აქ გაივი, რომ დედა მისი რამდენსამე თვეის წინად გადაცვლილიყო, მამა კი ზღვაში დამლრჩეალიყო. სიმდიდრე, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობდნენ, მამის სი-ცოცხლეშივე უკალოდ გაქრა; პატარა მემკვიდრეს მხოლოდ მამისეული ვალი დარჩა. უნდა გაეყიდნა სახლი, სამქეოლო და მიწაც; ერთი წლის შემდეგ-კი მხოლოდ ერთი პატარა ვე-ნახი-ლა დარჩა.

„რა გაეწყობა,—გაიფიქრა მან:—მარტო ვარ, და რო-გორმე ვიცხოვრებო.“ ამრიგად ივი დარჩა თავის ვენახში, სულმუდამ დალერემილ-დაფიქრებული; ქვეყანაზე არავინ არ უყვარდა, არავინ არ ეპრიანებოდა და არავის არ უმეცობრდე-ბოდა. თავის მშობელ ოჯახში ხშირად მოჩეუბარ დედ-მამა-სთან არ გამოეცადნა არც ალექსი, არც სიყვარული. შეძ-დეგში-კი, როდესაც თვალწინ წარმოუდგებოდა ხოლმე სიყმა-წვევლე, ისა, თუ რა გადახედოდა თავს, უხაროდა, რომ თა-ვისუფალი, სრულ მუსლიმებაში სცხოვრობდა.

როკეამარინოელებს ის თითქმის არ იცნობდა. მისედედრული მამას მეგობრები არ ჰყოლიათ, და თვითონ-კი ვერ ჭირდებოდა თუ როგორ შეუძლიათ ადმინისტრაცია მეგობრობა. მანმ პატარა იყო, უკელა შურით უყურებდა, როგორც მდიდარ მემკვიდრეობს; ზა, როდესაც აღმოჩნდა, რომ არავითარი სიმდიდრე არა ჰრებია, აბუჩად აიგდეს. ასე შეუმნეველად, დღითი-დღე, წლით-წლობამდე მიდიოდა ინდრიას განმარტოებული. ერთვარი სიცოცხლე. ამგვარად მიაღწია ორმოც წლამდე, და ცოლის შერთვაზე არც ერთხელ არ გაუფიქრნია; დროს ატარებდა თავის ცენტრში ან იმ წიგნების კითხვაში, რომლებსაც აშანივი უგზავნიდა.

ამასობაში კანდელზე ძველი დარაჯი მიიცვალა და ახალი უნდა ეშვენათ. რადგანაც ანდრია განმარტოებულ ცხოვრებას მიწვეული იყო, წარმოუდგა, რომ ბეჭითად შეასრულებდა კანდელის მსახურის მოვალეობას პატარა კუნძულზე, თვალ-უწვდენ ზღვაში. შეთევზეებმა, როცა გაიგეს ანდრიას სურვილი, უთხრეს, კანდელზე ძნელია ცხოვრებაო; მაგრამ ანდრიამ უპასუხა, ჩემთვის სულ ერთია, საღაც უნდა ვიცხოვ-როთ. ეგონა კიდეც, რომ კანდელზე ერთვარობა—მოწყენილობას ადგილი არ უნდა ჰქონოდა: იქ მისი საქმე ლიმპრის ანთება და უურის გდება იქნებოდა.

ანდრიამ მართლა ითხოვა თავისუფალი ადგილი. მისცემ კიდეც და გაგზავნეს კანდელზე სამუშაოდ.

მრავალი წელი დაპყო ანდრიამ იქ; არავის ჰედავდა, იმ მეთევზებს გარდა, რომელთაც კვირაში ერთხელ სანოვაგე მოჰქონდათ. შემდეგ შეიდი დღის განმალეობაში მარტოდ-მარტო რჩებოდა ზღვაში გადაკარგულ პატარა კუნძულზე.

ანდრიას მხოლოდ ერთხელ დაავიწყდა ამ დროის განმაცლობაში ლამპრის ანთება, სწორედ იმ ქარიშხალიან ლამეს, როდესაც აღშეფოთებული მეთევზენი ზღვის პირად იღვნენ და სწუხდნენ.

II.

შუა-ღამე გადასული იყო. ანდრიას ლამპაზე უკვე იქნობ  
და დასძინებლად ემზადებოდა. მმ დროს გარედან რაღაც ჰქონდებოდა მათ. სიჩქაროდ ვამოვიდა კოშკიდან გარედ და უკრიდან უკდო: არაფერი იყო, გარდა ქარის ზუზუნისა და ტალღების გმინებისა. ირგვლივ დაწყებით გამოეყობოდიყო.

„ოლბად „მომერქენი”, გაიფიქრა მან: — „მაგრამ არა... ისე  
შეკვეთიდ მესმის რაღაც წილილი”...

— კინა ხარ? — დაცყვირა მან: — კინა ხარ მანდა?

ବେଳେ ଏହି ପ୍ରକାଶକ ଦ୍ୱାରା ମୁଦ୍ରଣ କରାଯାଇଥାଏ ଏହି ଗୀତର ଅଧିକାଂଶ ପରିଚାରକ ପାଠ୍ୟ ପାତା ହେଲା ।

ანდრიამ აიღო ფარანი ხელში. ნელის ნაბიჯით ჩაეშვა  
ქვევით კუნძულის დასაცალიერებლად. გადადგა თუ არა რა-  
მდენიმე ნაბიჯი, ელდა-ნაცრავივით გაშემდა. კლდის ლრანტე-  
ში შან დაინახა უძრავად მწოლარე, თავით-ფეხებამდე სკელი  
ბავშვი. ასე იუიქრებდით, ვიღაც მოსიყვარულე ადამიანის ხელ-  
მა აქ დათო იჯი, რომ ტალლებს არ გაეჭარნა.

„ლმერთო ჩქმო, ეს რა ამბავია? ფიქტობდა ან დრია: — ნუ თუ ტალღად გამორიყა? — ალბად გემი დაიმსხრა და ამ ბავშვს გართა ყუკლიანი დალუკულოან!..

ერთი საათის შემდეგ ბავშვი ანდრიას ლოგინში იწვა  
საბან-გადახურული, თან და-თან გონის მოლიოდა. მალე გაინ-  
ძრა, თვალები გაასილა და ჩოცა ანდრიას დახრილი ფერ-  
მკრთალი სახე დაინახა, წანარაც წაიშერისებულა:

- 333-  
-

ტლანქი, დაკორძებული ხელი, ნამდვილ მამობრივ სინაზით ბარშვის თავს შეიჩო.

მთელ ღამესა და შეორე დღესაც ანდრია საწოლს არ  
მოუშორებია, მოუსცენრად მბორგავ ბავშვს უკურებდა და  
შიშით პატბუტებდა: ვადაა, მე-კი შეელა არ შემიძლია...

ლმერთო, მაცხოვარო! აქ რომ მოკვედეს, მერე?! არა, ურთიერთობა  
მე მინდა, რომ იყოცხლოს!.. უნდა გადავარჩინო! პისაულის მიერთობა

ანდრია, როგორც მოსიყვარულე დედა, ბავშვის გულში  
იხუტებდა. ჰერცინიდა, ეალერსებოდა. გულში ახალი გრძნობა  
ესახებოდა. იმ დღეს ანდრიას ცველიაური დაივიწყდა, დაავი-  
წყდა თავისი თავიც და დამე ლამპრის ანთებაც.

იმ რატომ არ აშეუქებდა იმ ქარიშხალიან ლამეს იზოლე-  
ტოს კანდელის ცუცხლი.

მეორე დღეს, დილა-ადრიან, ანდრია კოშკონ ნავის ნი-  
ჩიბთა შევპატ შეაქრთო და გამოარყენა.

— ნუ თუ ბავშვის წასაცუანიდ მოდიან!

იგი ალელდა და შეკრთა.

— არა, არა! ბავშვის არ დაუთმობ! იგი ჩემია, ჩემი!..  
ჰუტერებდა ანდრია და სულ-განამული კიბეზე ფეხის ჩმას  
ყურს უგდებდა, ფრთხილად გამოიხურა კარები და ძირს ჩა-  
ვიდა.

როცა იმის მოსაციონავად მოსული მეთევზეები დაინახა,  
ცივად მიიღო და მალეც გაისტუმრა კუნძულიდან. ანდრია  
დიდხანს უყურებდა მიმავალ ნაეს და, როდესაც თვეოლთაგან  
მოეფარა, თავისუფლად ამოისუნთქა და ბავშვთან დაბრუნდა.

ბიჭიებს მაგრად ეძინა. ანდრია დასკეროდა ბავშვს და  
ღრმა სიხარულს ჰერცინობდა, ბედნიერშა ლიმილშა პირველად  
შეუთამიშა დაღვრებილ სახეზე.

რამდენსამე დღის შემდეგ კარლეტო, — ისე ეძახდნენ  
ბავშვს, — გამობრუნდა. ამ დღიდან ანდრიას ცხოვრების ახა-  
ლი ხანა დაიწყო.

მოელ დღეს კარლეტოსთან იტარებდა, და ერთ წამსაც  
არ შორდებოდა. იგი ბავშვთან ერთად აღიოდ-ჩამოდიოდა  
კიბეზე, აჩვენებდა ლამპრის ანთება-გაქრობას...

საღამოობით-კი ბავშვს მუხლებზე დაისუამდა და ზღაპარს  
მოუყვებოდა ხოლმე. თვითონ ძალიან ცოტას სჭამდა,  
ოლონდ-კი მისი კარლეტო მაძღარი ჰყოლოდა. ცველა ეს ან-



დრიას გულს ჯერეთ გამოუცდელ სიხარულით აქვეშეა, ამას  
მელსაც არაფერი შეედრებოდა. ყველაზე უფრო ანტონიან კა-  
რლეტოსთან ხელჩაერდებული სეირნობა უყვარდა.

უდიდესი სახრუნავი ანდრიასთვის იყო ბავშვის დამალვა-  
ის მეოვეზეთაგან, რომელთაც კვირაობით სანოვაგე მოჰქონ-  
დათ. უშმელობა ერჩივნა სანოვაგის მომატებასა. მაშინ უთუ-  
ოდ მოისურდებდნენ იმის გავებას; თუ რად დასჭირდა სანო-  
ვაგის მომატება.

### III

გავიდა რამდენიმე თვე.

ანდრია მნედ იტანდა სიმშილს. ყოველთვის დალერემი-  
ლი და მდუმარე, ეხლა იგი სულ გამოიცვალა — მხიარული აღა-  
მიანი გახდა. მაგრამ კვირაობით კი იმის სახეს ისევ სასტიკი  
გამომეტყველობა ემჩნეოდა. კარლეტოს იგი სულ ზევითა ოთახ-  
ში პეტავდა, — გარედ არ უშვებდა, სანამ როკამარინოდან  
წამოსული ნავი კუნძულთან იყო.

ერთ კვირა დღეს, კუნძულისაკენ მომავალმა მეოვეზეებმა  
დაინახეს, რომ კოშების ზედა სარკმლიდან მათ გადმოსცეკრო-  
და ლამაზი, წითური პირისახის ყმაწვილი.

— უყურეთ ერთი, მათეო, — სთქვა ერთმა მაოგანმა, —  
იქ ხომ ბავშვია...

— მართლაც, ბავშვია... — განიმეორა მეორემ და თვალი-  
ფანჯარის მიაპყრო.

— კი ამბავი!..

გადასცეს რა სანოვაგე ანდრიას, ოხუნჯობა დაუწყეს და  
მისი შეილის ამბავი გამოჰყითხეს.

როდესაც ანდრიამ გაიგო, რომ მისი საიდუმლო გამომ-  
ეღავნდა, გაფიტრდა, ტანში შეაერეოლა. დაბნევით და არე-  
ვით დაუწყეო მათ ლაპარაჟი: არწმუნებდა, რომ ისინი სცდე-  
ბიან; და რაკი შეატყო, რომ არ უჯერებენ, გადასწყვიტა ჩარ-  
თალი ეთქვა.

ლაპარაქის გათავებისათანავე, მათეომ სთქვა: ეროვნული

— აი, საქმე ჩამია: ჩვენ სოფელში ერთი დედაჭავა ულავშებია  
მის კუთხი შესცდეს, დღე-ღამეს ზღვის პირად ატარებს ქრის-  
ტონდინში... იგი თვისი შეილით ზღვაზე წავიდა და დაიკარ-  
გა... უკეთესობა, ეს ბავშვი მისი შეილია. რატომ აქამდე არა  
სთქვი რა? ხომ არ გევონა, რომ ბავშვი ციდან ჩამოვარდა?

ანდრია თავდახრილი და ფიქრებში წასული ჩუმად ისმენ-  
და ამ საყვედლურს. ბოლოს გამოირკვა ფიქრებისაგან და აკან-  
კალებულას ჩმით წარმოსთქვა:

— წაიყვანეთ!.. როდი მეგონა, რომ მას დედა ეყოლე-  
ბოდა... იყვანეთ და ამ წამ ვე დედას მიჰვარეთ: ცუდეს,  
რომ მისი შეილი ცუცხალია. ბარბაცით ავითა ანდრია კოშ-  
კის ზედა ოთახში; კარლეტო იყვანა, მიიქრა გულზე და თავ-  
პირი დაუკუცნა. ბავშვმა შესტირა; მისმა ცრემლებმა ანდრია  
უწოდოდ გაახარა. ერთი კიდევ აკოცა ბავშვს, ჩავიდა ძირს და  
გადასცა იგი მეთევზეებს.

თან და თან უფრო და უფრო სუსტად მოისმოდა ნიჩბე-  
ბის თქავანი. ანდრია კლდესთან იდგა და თვალს არ აშორებ-  
და ზღვაში მიშავალ ნავს, რომელიც სულ პატარა-ლა მოსჩინ-  
და და ბოლოს თვალთაგან მიეფარა.

თვალუწვდენი იყვანე გარს შემოპირტყმოდა. ანდრია  
გასცეროდა მის სივრცეს და პირველად იგრძნო, რომ აქ  
ცხოვრება არ შეუძლია...

გავიდა ათი წელიწადი. იზოლეტოს კანდელზე დიდი ხა-  
ნია სხვა დარაჯი მსახურებს. ანდრია კი ისე მუშაობს თავის  
ვენახში, მაგრამ მარტო კი აღარ არის.

მასთან პატარა კარლეტოა თავის დედით, რომელიც ან-  
დრიას მეუღლედ გახდა. ინდრია წელებშე ფეხს იდგამს, რომ  
კარლეტოსა და დედამისს ყოველნაირი გამირვება ააკლინოს.

ანდრია სრული კრისტოფოლია თავისის ბედისა; მხე და  
თვალე კარლეტოზე ამოსდის, რომელმაც თვალუწვდენ ზღვა-  
ში აღამიანისადმი სიყვარული ასწავლა.

თ. კარბელაშვილი.



## ზ რ ძ მ ნ ი.

(იგავი).



რო მივარღნილ სოფელს გაელით ლრმად  
მოხუცებული ბრძენი ეწვია. თავის გარე-  
გნობით იგი ყველის ყურადღებას იქცივ-  
და: თმა-აბურძვენილი, გრძელ-წვერიანი,  
ფეხ-შიშველი, ყავარჯინიანი—წუნარად მია-  
ბიჯებდა შერაზე და თან დაკიტრებით  
ათვალიერებდა ყველათვერს.

სოფელელებმა, ეს რომ დაინახეს, ცნობის-მოყვარეობით  
მისკენ გაეშურნენ, გარს შემოეხვივნენ და მოწირებით ჰკი-  
თხეს:

— ნამაშვილობას, ნუ გავვიწყრები, და ერთი ეს იგვი-  
ხსენ: — რა ხელობა იკი, რომ ბრძენს გეძახიანო?

— საყვარელო შვილებო, — მიუგო ბრძენმა, — ამის  
აღსნა ისე ადვილი არ არის, როგორცა გვონიათ; ჩემ საქ-  
მეს არა ხელობა არ შეედრება; ჩემი გონება მიუწიდომელია,  
ჩემი ცოდნა უსაზღვროა; მხედველობა მაქვს ასე კაცისა და  
სმენა— ათასისა: კუშეტში ვხედავ იმას. რასაც სხვა მზეში ვერ  
ამჩნევს; გრგვინვის დროს მესმის ის, რასაც უბრალო მომა-  
კვდავი სამარისებურ სიჩუმეშიც ვერ გაიგებს; მაღლა ავიხე-  
დავ— ცაზედ ზეციურ იმბებს ვკითხულობ; ძირს დავიხედავ—  
თვალ წინ მთელი დედაწის ცხოვრება მეშლება. ჩემი ფიქრი  
არღვევს მთას, ჩადის ზღვაში, პემირავს აღამიანის გულს და

კველგან იკვლევს და ძიობს ოსებობის სიღუმლოებას, მრავალი ზეზთა მიზეზს. აღარაფერი დაშრენია მიუხდომელი და შეჭყარითა გნებელიო.

— ფეხ-შიშველი რალათა ხარო? — ჰეითხეს ისევ სოფლე-ლებმა.

— ქალამნების ამოსხმა ვერ ვისწავლეო, — მიუგო ბრძენშა.

აღ. მირიანაშვილი





4

## ვაზტანგ ვაზტანგის-ძე ორგელიანი.

(დამადგენადან ასთ წლის შესრულების გამო).

**W**ენი სახელოვანი პოეტი ვ. ვ. ორბელიანი დაიბადა 1812 წლის აპრილს 5-ს. მამა პოეტისა ვახტანგ ორბელიანი ქართლ-კახეთის მეფეების ირაკლისა და გიორგის დროს ცხოვრიბდა და ცნობილი კაცი იყო. მან ქართული ენა კარგად იცოდა და ქართულად ლექსებსაც სწერდა.



იგი გარდაიცვალა 1812 წ. შეიღო მამის სახელი ვახტანგმანუზი  
უწოდეს. დედა პოეტისა, თეელე ბატონიშვილი, ერევლე შე-  
ფის უმცროსი ქალი იყო. იგი შემკული იყო ყოველგვარ ლი-  
რსებით, რაც აშვერნებდა ქართველ ქალს; მშვენივრად იცო-  
და ქართული მწერლობა, საღვთო წერილი, კარგად ჰქონდა  
შესწავლილი სამშობლო ქვეყანა, უყვარდა იგი; შემკული იყო  
კერით, სიბრძნით და სითნოებით, მისითან იყო საკვირველი  
მხნე და გამჭრიახი მანდილოსანი. ყველა ამ თვისებამ, დე-  
დისკე გავლენით, მტკიცედ გაიდგა უესვები მომავალ პოე-  
ტის გულში; იგი ცამეტ წლის დროის გავლენის ქვეშ იზ-  
რდებოდა და ამ გავლენის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოე-  
ტისათვის. ვახტანგ ორბელიანი ბავშვობიდანვე დიდ ბეჯითო-  
ბას და ნიჭს იჩენდა, მეტად შროშის მოყვარე და მეტადინე  
ყმაწვილი იყო. ცამეტის წლის ვახტანგი დედამ გაგზავნა პე-  
ტერბურგში და მიაბარა პაეთა კორპუსში, სადაც ხუთ წე-  
ლიწადს სწავლობდა; ბოლოს პეტერბურგის შევამ ცუდი გავ-  
ლენა იქმნია პოეტის აგებულებაზე და დედა იძულებული  
გახდა შეიღო სამშობლოში წიმოყვანა. თერამეტი წლის ვახ-  
ტანგი მისდევდა თეთ-განვითარებას: ძლიერ უყვარდა  
ცოდნის შეძენა და კარგი წიგნების კითხვა, რასაც მოელ  
თავის სიცოცხლეში მისდევდა. თავისთავად მშვენივრად  
შეისწავლა ქართული მწერლობა და საქართველოს ისტორია. 1832 წელს საქართველოში შეთქმულობა მოხდა. ზოგ გინა-  
თლებულ თავად-აზნაურებს არ მოსწონდათ ის წესწყობილება  
და უცხოთა ბატონობა, რაც საქართველოში მაშინ მყარდე-  
ბოდა. ამ შეთქმულობაში ვახტანგი მხურვალე მონაწილეობას  
იღებდა. იგი ჩარიცხეს დამნაშევრთა პირველ ხარისხში, თერ-  
ომეტი თვე თბილისის ციხეში ჰყავდათ დაპატიმრებული და  
შემდევ თხხის წლით გადასახლეს რუსეთში, ქ. კალუგაში.  
შემდევ დაბრუნდა საქართველოში და შევიდა სამხედრო სამ-  
სახურში. 1844 წელს ცოდნად შეირთო ილინსკის ასული  
ეკატერინე. დღეს საქართველოში კარგად ცნობილი მოღვაწე



კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-არაშენიშვინისა არის ასული პოეტისა. თავისი მოქირნახულე დედა პოეტი გარდაეცვალა 1846 წელს. 1881 წლამდის ვახტანგ ორბელიანი სამხედრო სამსახურში იყო, ბევრ ომსა და ლაშქრობაში ღებულობდა მანაწილეობას. 1864 წელს გენერალ-მაიორის ჩინით დაინიშნა საგლეხო საკრებულოს წევრიად და შემდეგ მომრიგებელ-შუამივლად. 1881 წელს სამსახურს თავი დაანება, გარდაიცვალა 1890 წელს, 78 წლისა, და დასაცლავებულ იქმნა თფილისში, სიონის ტაძარში.

პოეტი ვახტანგ ორბელიანი ეკუთხნის იმ იშვიათ უკვდავ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც ცხოვრების მიზნად სამშობლოს ბეჭნიერებისათვის ზრუნვა დაუსახავთ; პოეტი განმსცვალულია სამშობლო ქვეყნის სიყვარულით, იგი იყო მომხრე თავისუფლების, ძმობის, ურთობის და თანასწორობის; მას არ მოსწონდა დაყოფა ერისა წოდებად; მისი იდეალი იყო საერთო შრომა უყვლისი და იმედს სამშობლო ქვეყნის იყვავებისას მუშა ხალხში, გლეხობაში ხედავდა. ამიტომ ქართველი გლეხი, როგორც მუშავი, უყვარს პოეტს და ჰქადაგებს მასთან დაახლოვების საკიროებას, მის განათლებას. კერძოდ უმაწვილეს პოეტი ურჩევს შრომას. ყმაწვილებისათვის დასტოა ანდრიად შემდეგი ლექსი:


„ისწავლეთ, ძენთ, ხე დაზოგავთ ღვაწლასა და შრომას;  
იშრომეთ, ძენთ, ერთდენით ცრე გზას და ცთომას!  
გნათლდათ სწავლის დამსრთათ, ისწავლეთ კვალდად:  
სწავლა არს შადლი ღვთავბისა, ცხოველი შარად.  
სწავლა კაცს აძლევს მის უმაღლესს საჭიროებას:  
პერს—უშუროსა და შონასა—თავისუფლებას.  
სწავლა აივენს თქვენს გრძებას იმ სიმაღლესა,  
საიდამც განსცემრებით და შისწავლებით დიდს განგუბასა,  
მის უსამხდეროსა, შეკენიერს, დიდს ქმნილებას,  
მის დიდს საბრძნესა და დაუარედს ქეშმარიტებას.


სწავლა არს მაღა, დიდი მაღა, მაღა ღვთიური;  
სწავლული იქთა — თუმცა ღონით, მაღათ უმღერი,  
მაინც შისია ეს ქვეყანა და შის დიდება.  
კით შენ ნათელი ნათელია სწავლის უფლება.

თქვენის საშობლოს თქვენპენა რბის გული და თვალი;  
ისწავლეთ, ქწოთ, თქვენ ხელთ არის შის შოშევალი.”

მოზარდი თაობა პოეტის ხსოვნას მაშინ სცემს ჰატივს,  
როცა იმ ლექსში გამოთქმულს დარიგებას ღირსეულიდ შეა-  
სრულებს, მიპარავს პოეტს შრომის მოყვარეობაში და განი-  
მსჭვალება იმ მაღალი აზრებით, რასაც პოეტი სიცოცხლეში  
ჰქადაებდა და რაც გარდაცვალების შემდეგ ანდერძიდ დაუ-  
ტოვა შთამომავლობას.

ლ. ბოცვაძე.





## ქართული გურენლობა.\*)

(მოკლე მიმოხილვა)

‘დასასრული).



ამართან დადგებულ ხელშეკრულობის ძალით დამისუსას სულთნები შეღავათიანად ეპურობოდნენ თავიანთ სამფლობელოს ქრისტიანებს, იგრეთვე იერუსალიმში მიმავალ მლოცველებს, მეტაზრე ქართველებს, რომელნიც ყოველ ხარჯ-ბეგრისავან განთავისუფლებულ იყვნენ დამხსკოს მხარესა და იერუსალიმში.

თვით სახელოფანშა სალატინშა თამარს 200,000 დინარიად დაუტმო მაცხოვერის ხატი, რომელიც მაპმდიანებმა წარიტაცის იერუსალიმის ალების დროს 1187 წელს.

თი რას ამბობს მაპმდიანი შეერთალი ალთათირი:

„ქართველებმა — ქარსი (ქარისი) ააღეს და შევიდრნი დახარკეს. იხვეწებოდნენ ქარსადან, დაგვახსენით ქართველებისაგან, მაგრამ შეედა არსაიდან იყო. ბოლოს თვით დღერთი გამოჩნდა მაჭადანთა შემწედ

\* ) წინა №-ში (გვ. 40, ბოლო სტრიქონში) დაბეჭდილია „მობურულნი“, უნდა იყოს, მობურთალნი.

და შესწევად. შან შოტტლა ქართველთა დედოფალი, ქართველების უთანამშენეა ჩამოაგდით და დაიღუარა შათგან შოსხემანი ამ წლის და-  
მდგენმდე”.

თამარის ამბებს ჩვენ გაზეიადებად არ ვსოფლით. რომ ჩვენი  
მემატიანე მიუდგომლიდ სწერდა და არა პირფერლილიდ. სიანს  
თუნდა მით, რომ ეს მემატიანე სრულიად უშიშრიად ამხილებს  
თამარ მეფის ქალს რუსულანს. აი მემატიანის შეზედულობა  
თავის დანიშნულებაზე: „დალათუ არა საკადრებელ არს თხრო-  
ბად მეფეთათვის უშვერსა რასამე, რამეთუ იტყვის მოსე,  
მხილველი ლუთისა, კოთარმედ „მთავარსა ერისასა არა ჰრქია  
ბორიოტი”, გარნა შენდობილ იყავნ სიტყვანი ესე ჩემნი, რა-  
შეთუ ეამთა აღმწერელობა კეშმარიტის მეტყველება არს და  
არათუ თვალშემა კისოფისმე” (ქარ. (კ., 366).

თამარის დიდებას ერთნაირის მიუდგომლობით მოგვით-  
ხრობენ მისნი თანამედროვენი, — ქართველთა, არაბთა, სომებთა  
და ბიზანტიელთა მწერლები; თამარის ამბავი თვით შუაგულ  
რუსეთშიაც გახმაურდა.

თამარის სიშენე-ვაცეალობას რუსთა მეფე ითანე მრისხანე  
მაგალითად უდებდა თავის ლაშქარს ქალაქ ყაზანზე იერიშის  
მიტანის წინ (ვახუშტი, 129).

ამ დიდების, ამ ბრწყინვალების გამოხმობად მოისმის სი-  
ტყვები არაბთა მწერლის ელყალკაშენისა, რომელიც გარ-  
დაცვალა 1418 წელს. მისი სიტყვით, ეგვიპტის სულთნები  
მიწერ-მოწერაში ასე მიშმართავდნენ ქართველთა მეფებს.

„დღდა ქას განაგრძის ბრწყინვალება შათის უდიდესულესობისა,  
ხედმიავასა სახელთვანისა, დიდებულისა, შენისა, გუდოვანისა, უ-  
დიერენისა, დაუცადებდად შებრძოდისა, დომებრივისა, ტახტია და  
სკაპტრითა შექრიბელისა, თვისის სარწმუნოების შტკაცე დაცველისა.  
ქვეშევრდომთათვის მართლ-შაველისა, დაზთა მეფეთა შირის უ-  
დმატებულესისა, ქართველთა სულთნისა, ზღვათა და ნავთსუუდელთ  
საუნჯისა, გმირთა აღთქმულ ადგილის მცველ-მივარგულისა, ტახტია



და სეიბტრათა შემცვეიდრეობით შეერთობელისა, რესპუბლიკური ქადაგის შეცვენების შფრველისა, თონთა შეამომხდაღისა, სირიელ შეცვეთა სურნელთვანებისა, ტახტია და გვარგვინთა შეერთობელით შორის აღმატებით რჩეულისა, ქრისტიანეთა განმადიდებელისა, იესოს სარწმუნოების დედამინისა, შესახოთ გმირთა ცხებულისა, თვისის გარდაწყვეტილებით უწმინდეს სახლისა (იერუსალამის) ადმისდლებელისა, ნათელ-ღებულთა გვარცხლ-ბეჭისა, რომთა ჰაბის შემწისა, მაკადანთ შეგობრისა, უშაბდობელეს შეგობრით შეორის უშვევნიერებისა, შეფუქა და სუდონათა უერთგულეს შეგობრისა -

ბოლოს აცხადდა ბრძნული თქმულება: ბევრს იღმართს ბევრი დაღმართიც აქვსო. ჩაესვენა შეე ქართლისა თამარი და ბედის ბორბალმაც უკულმა ტრიალი იწყო.

თამარის უნიქო მემკვიდრეების ხელში ყველამ დამოუკიდებლობა მოინდომა. თანხმობა დღითი-დღე ირლვეოდა. თანაც მონგოლები, რომელთაც დაიპყრეს თითქმის მთელი აზია და რუსეთი, შემოესივნენ აგრეთვე საქართველოსაც. სარბაროსებმა პირქვე დასცეს ის, რაც აეშენებინა თამარს და მის მამა-პაპას. მათ დასწევს მდიდარი წიგნთ-საცავები; მათვე ვაძარუცეს და ვადასწევს თამარ მეფის სრა-სასახლე. აი ეს სასახლე შევთელის სიტყვით როვორი იყო:

თუ ვუქო სრანი შე ამს რანი?

გალავნისა შექვედობანი,  
მტაც-სამოთხენი, თვალი-სამოთხენი,  
ზედ აფაზანთა შექმნებანი;  
გართა სტოდანი, ურთა სტოდანი,  
აპშოდრომისა განხმულობანი;  
სახმრად დაწენთა, თანდ ჰინაკთა  
ბალახშით სედჭევეს შექმნებანი;  
ტახტ-საყდომებინი შეამჯამებელი,  
სარდაონათა ხურგზმს შემკული,  
შისაურდნობელი მნედ საცნობელი,  
სამოთხით ნაძნი თვით-უდნობელი.

თქრთ-ეგრცხულებრივ, ბრწყინვას ცენტრული აკადემიური უფრენი ფიქციათ ქერწიდნი  
ბიბლიოლითი, დიგიტალიზაციი  
ურთიერთობით შორის შთახილნი.

უმცემებამ ყველა ეს ბრწყინვალება, მთელი ეს კულტურული შეძენილობა, ვიმეორებ, გააოხრა, ვადათელა, ვაანიავა. თვისი ძალ-ლონე ქართველობამ ბარბაროსობასთან ბრძოლის მოანდომა. მცირე ხანს გრიგოლივით იფეთქა კიდევ ქართველობამ ცოტნებამ ცოტნებამ დადიანის, გიორგი ბრწყინვალის დროს, თუ კონსტანტინეს და სხვათა, შავრამ მაღლე ისევ ჩანელდა. შორს ვანუკერეტელმა მეფემ ალექსანდრემ თვისი ქვეყანა სამ სამეფოდ გაჰყო. მაღლე კახეთ-ქართლ-იმერეთის სამეფოებს მოემატნენ სამთავროები — საათაბაგო, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა, ქსნის საერისთო, არაგვის საერისთო, მუხრანი და სხვ. ყველა ამ კუნკულების მეთაურები თითქმის მუდამ ერთმანეთის მოსისხლე მტრები იყვნენ.

იყო დრო, რომ თვით პატია სვანეთიც იარაღს ისხამდა, მიდიოდა და იყლებდა იმერეთს; ერთხელ ხომ თვით ქუთაისი ცეცხლით გადაპირდა (1362 წ.) ილმულა ათაბაგმა; რომ სრულიად დაპირებოდა საქართველოს მეფეს, თავის სამთავროსთვის კალკე სამართლის წიგნი შეადგინა.

კოსტანტინე მეფემ 1491 წელს სცადა საქართველოს გაერთიანება. მან მოიწვია ტფილისს კათოლიკოზი, ეპისკოპოსი და წიარჩინებული და განიზრახვიდა, თუ „რაი პყონ ვანდგომილებისათვის ქვეყანათა და ვითარ მოაგონ კვალად მეფობასავე თვისსა“. შავრამ დიდებულებმა ასეთი რჩევა მისცეს: „ვინათვან მტკიცედ დგას ერთგულობასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთვის არა განვიზრახვი ბრძოლის, რამეთუ თუმცა მრე ვემნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა. ვა ცადოთ, უკეთუ კვალად ავს ღმერთმან მეფობასავე შენსა.“ მეფემაც შშვილობა ირჩია, მით უმცეტეს, რომ ამ დროს



ისტუყდა საშინელი ბრძოლა სპარსთა და ოსმალოთ ქართველობის გამო: ოსმალები მომავრდნენ სამესხეთოს და იმერეთ-აფხაზეთსაც ჩემულობდნენ, ხოლო სპარსნი იმერეთს არ კიარობდნენ და სამესხეთოსაც ედავებოდნენ ოსმალებს. „აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი შეუაში გასრისესო“, — ასე მოსდიოდა დაწერილ დაყოფილ დაფანტულ საქართველოს. თავარის შეილის შემდეგ მარტო ტფილისში 200,000-ზე მეტი სული ამოსტუკიტა მტერმა ველურმა შაჰაბაზმა კიდევ საქართველოს მოაკლო 230,000 კაცზედ შეტი.

მიუხედავად ამისთვისა ყოფისა, ქართველობა არ ტყდებოდა და წიგნს ხელიდგინ არ უშევებდა. ცრიად დამახასიათებელია ავგაროზ ბანდას-ძის შენიშვნა 348 წლის თარიღით: - წიგნისა ამის წერა ვიწყე ვამსა ღელვისასა, უბედურებათა და ძეირობისა. ბერი ვიშრომე, ვინიოდგინ ვიცოდი, რომ შრომა დაშეხება და შშრომელი წარვითს. სიჭაბუყისასა დავიწყე წერია და მოხუცებულმა გვისრულე 1 65 წელს. წყალობითა ღვთისათა მე ვიცოდი:

१. गुड्हा: लिंगाम शृंगरपदासाम
  २. " शिंद्येवापरवासाम
  ३. " लिंगाम शृंगरपदासाम
  ४. " शेषिंगाम गरिंगारिदासाम
  ५. " शेषिंगाम लिंगिनासाम.
  ६. " शेषिंगरपदासाम
  ७. " शेषिंगरपदासाम
  ८. " शेषिंगरपदासाम
  ९. " शेषिंगरपदासाम
  १०. " शेषिंगरपदासाम

ლარეგისის დიდს პარაკლოტინს გრიგოლ შინდაძე მიაწერს 1400 წელს: „მაისის შეიდს მოვიდა თემურ-ბეგი სულტანი სამარენებელი (თემურ-დახნგი ანუ დანგ-თემური) და სიმრევების მათის არა მეოთხეა. და მოვდეს ქვემის კოველი, და წარტყმანის, და

დაქცივეს საედარნი, შოთასტერნი, და ადახვნეს უოველი ფაქტორისა და ტევ-ჰევის, და მოახსრეს უოველი ქვეშანა დასაცდეთაშინი. მაგრა ეს ფაქტი შინა დამიცვა დმერთმა ხელიაგან მათთა, და დაკარგი თბილია ხელთა მასთაგან, და გსტიოზდი თვეს ჩემსა, და დაწერისგან შოთასტერნი უფლი აღვაშენე ხეთი სახლი, აღვაშენე კარის ბეჭე და ღავსატე ჩე-ლითა ჩემითა, დაკარგი კანცელი კერტებისასა და თრი საცეცნეური, შესამოსელი. შოგნით ეპლენია მოვსატე და შევაშე. დავსხენ წიგნია: შარკლიტონი, სამოციქლელო, გულანი, ავგარიზი. ავაგე შარანი. ჩაედგი თრი ჭური. ავაგე ზედა სამუშავი სახლი, ბედელი, საწოლი, დეიფანი, სამრკელი და ბოსელი, და დაგურე უოველი სიპითა".

ამისთვის გარემოებაში უხდებოდა ქართველ კაცის მუშაობა. შევ-ბნელი დრო ერთი-ორი-ათად ამხნევებდა მას, მწერალი იყო იკი მარტო, თუ მღვდელი, ანუ ერის კაცი.

გაჭირებულ მდგომარეობაში ქართველებს უნებლივთ მია-ხედა ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპისკენ. რათან კოსტანტინეპოლიც დაჭირეს ოსმალებმა (1453 წელს), ამიტომ სა-ქართველო დარჩა მარტოდ-მარტო აზიის ველურებ შორის. უკელას ევროპიდან მოელოდნენ. რომეს შისულმა ქართვე-ლებმა გამართეს იქ სტამბა 1626 წელს და დაბეჭდეს რამდე-ნიმე წიგნი. შემდეგ ტფილისშიაც შეუვე ვახტანგმა გამართა (1709 წელს) სტამბა და დაბეჭდა სხვა-და-სხვა სასულიერო და საეკლესიო წიგნები და აგრეთვე ვეფხვის-ტყაოსანი. ვახტანგს გარს ერტყა დიდი გუნდი განათლებულ კაცებისა. საბა-სულ-ხან თრბელიანი, ვახუშტი, დავით გურამიშვილი, შემდეგ კა-თალიკუზი ანტონი, ბესიკ გაბაშვილი და ბევრნი სხვანი, მა-გალ., კიდევ არჩილ მეფე, იაკობ შემოქმედელი (დუმბაძე), იო-სებ თბილელი—ცხოვრობლენი ეგრედ-წოდებულ ალორძინე-ბის ხანაში.

ბევრი სამ გაკეთდა ამ დროს: ისტორია შეიმუშავა ვა-ხუშტი ბატონიშვილმა, კანონები—ვახტანგმა. ბიბლიოაზე იშ-რომეს არჩილმა, ბაქარმა და ვახუშტიმ, პაპუნა თრბელიანმა, სენია ჩეეიძემ, ომან ხერხეულიძემ დასწერეს თავთავის დრო-




ის ისტორია. მათზე წინად ამავე საქმეს ბევრი შრომა შეატაცია  
ისტორიულსმა ფარსადან გორგიჯანიძემ; სულხან-სამაში შეადგი-  
ნა ქართული ლექსიურნი და დაგვიტოვა საიდუ-არაკო წიგნი.  
ანტონ კათალიკოზმა „წყობილ-სიტყვაობა“ და სხვა თვალსაჩი-  
ნო თხზულებები, მკონანმა ბესიკ გაბაშვილმა—შეენიჭრი ლექ-  
სები, და სხ.

ასე დიდ მუშაობაში დაიღია მე-18 საუკუნე. მის და-  
სასრულს ქოვრობდა იონა ხელაშვილი. მან განათლება მი-  
იღო რუსეთში. იონას ის უხარიდა, რომ ილექსანდრე მეფის  
გაყრილები ალექსანდრე იმპერატორმა შევვაერთაო. მას სწა-  
მდა, ჩვენი ტფილისი მაღლ იქცევა და მოელ საქარ-  
თველოს განათლება მოეფინებაო.

ეს იონა ხელაშვილი, როგორც ვხედავთ, არის პირველი  
ქართველი და პირველი კავკასიელიც, რომელმაც პირველმა  
ალძრა კითხვა შესახებ იმისა, რომ ტფილისში გაიხსნას უნი-  
ვერსიტეტი და ეს ქალაქი განათლების კერია აოინად იქცესო.

მ. ჯანაშვილი.





## ଅସ୍ତରନାମକାଳ

(ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ).

ମ. ପ୍ରତିମିଲନେହି.



ଏହେ ପ୍ରାଚୀନକୁଣ୍ଡଳ-ପ୍ରେସ ରାମ ପ୍ରାଚୀନକୁଣ୍ଡଳେ,  
ଦ୍ଵାରାନେବେତ, ରାମ ପ୍ରାଚୀନ ପ୍ରୋଗ୍ରାମ ଆଖାନ୍  
ପାର୍ଶ୍ଵର୍ଯ୍ୟବ୍ୟାଲୀନ. ବାମଦ୍ଵୀପାଦ ମନ୍ଦରାମଦ୍ଵୀନ,  
ମାଘରାଥ ଶିଥାରାନୀଶ ପାଦମ ମାତ୍ର ମନ୍ଦରାମ-  
ଦୀ ହୃଦୟତର୍ଫିଲ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତଙ୍କୁଣ୍ଡଳିଆ.

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗତ ପ୍ରତିମିଲନେହି; ଇନ୍ଦ୍ରି ମନ୍ଦରାମଦ୍ଵୀନ ଲାଭ ଓ ମନ୍ଦରାମଦୀଶ ହୃଦୟ ପାଦ-  
ଦୀ ହାତିନ୍ଦ୍ରିୟ. ପ୍ରାଚୀନକୁଣ୍ଡଳିତ ଶାଶ୍ଵତବ୍ୟାଲୀନ ଦାଶାଗଲ୍ପରେ, ହାତ ତାପ



ଏହା ମଧ୍ୟ ଦା ଦାଢିର୍ଭାଦ୍ରେବା, ଦାଶବ୍ୟଲ୍ପତିଥେ ଗାମନିନିନ୍ଦ୍ୟକିରଣୁତ୍ତମି-  
ରାଶେ ଶ୍ରୀପ୍ରଗାଳା ଚାରିକ୍ୟଲାଙ୍ଗୋ, ଏଠି-ସାମି ସାଂତିଳି ଶେଷକ୍ଷେତ୍ରକିରଣ  
ତାନ୍-ଦା-ତାନ୍ ଶ୍ରେଷ୍ଠ ପିତ୍ରକୁ, ଶ୍ରେମଦ୍ଵେଷ ବୈଷ୍ଣବ ଦାୟିଶ୍ଵରେବା ଦା ଦାନିଂ-  
ଲ୍ପେବା. ମନୀଶ ଅମିଶବ୍ୟଳିଳି ଫିନ ଅମିଶବ୍ୟଲ୍ପତିଥେ ଗରିବେ ଚାରିକ୍ୟଲା-  
ଙ୍ଗୋ ଅମିଶର୍ଭ୍ୟକିନ୍ଦ୍ରେବା ବୋଲମ୍ଭେ.

ଏ ଚାରିକ୍ୟଲାଙ୍ଗୋ ପ୍ରତିମିଳି ପ୍ରେରଣାବ, ଏମିଲ୍ଲିବାପୁ ହେବିନ୍ଦ  
ବୋଲିବ ଉତ୍ସିନ୍ଦ୍ରେବା ସାଂଶେତିକ ଦୋଷିଳି ଚାରିକ୍ୟଲାଙ୍ଗୋ, ପ୍ରିସିଆର୍ବେ.

ପ୍ରତିମିଳି ମେପିନ୍ଦ୍ରେବା ଉତ୍ସିନ୍ଦ୍ରେବନ୍ କିରଣ୍ଦ୍ଵେଷ ଶେଷକ୍ଷେତ୍ରକିରଣ  
ତାନ୍-ଦା-ତାନ୍ ବୁଝିବା, ଏବୁ ହେବିନ୍ଦ୍ରେବାର ନିର୍ମାଣେ ଗଞ୍ଚା-ଦାନିଂ-ଲ୍ପେବ  
ଚାରିକ୍ୟଲାଙ୍ଗୋ.

ମେର୍କ୍ୟୁର୍ରି ଦାଲିବାନ ବେଳିବାବା ମନ୍ଦେଶତାନ, ଅମିତ୍ରି ବେଳି  
ବେଳି ହିନ୍ଦ୍ରେବା ଦାଶବ୍ୟଲ୍ପତିଥେ ମନୀଶ ହିବେଲିବାତାନିଙ୍ଗେ ଦା ମାଲ୍ଲେ ହା-  
ତ୍ୟକ୍ଷେବା ବୋଲମ୍ଭେ ମନ୍ଦେବ. ପ୍ରତିମିଳି ଦା ବାତୁରିନି ଉତ୍ସିନ୍ ଶେଷ-  
କିରଣ୍ଦ୍ଵେଷ ମିଳିବାନ୍ଦ୍ରେବନ୍ ପାଥେ; ରାଧାବନ୍ଦାପୁ ବେଳିନି ମନ୍ଦେବ ଦାଶବ୍ୟଲ୍ପତିଥେ  
ବୁଝିବା, ଦୋଷି ଗଞ୍ଚା କ୍ଷେତ୍ର ଗାମିଶବ୍ୟଲ୍ପତିଥେ, ହେବି ଦୋଷିକାନ୍ ପ୍ରେରଣ୍ଦ୍ଵେଷ  
ବେଳି ପାଥେ,—ବେଳି ପ୍ରେରଣ୍ଦ୍ଵେଷ ବୁଝିବା, ତାତକୀଳି ଶେଷକ୍ଷେତ୍ରକିରଣ୍ଦ୍ରେବନ୍.

### ମେର୍କ୍ୟୁର୍ରି. (ରୃତିବ୍ୟାପକ ଶ୍ରୀତଦ୍ଵେଷ ଆଶିନିବଳୀ).

ୟାଲାନ୍ଧେ ଉତ୍ସିନ୍ ବେଳିବା ମନ୍ଦେଶତାନ ବୁଝିବାନ ମେର୍କ୍ୟୁର୍ରି. ଏମିଲି ଦା  
ମନ୍ଦେବ ମନ୍ଦେବ ଏକିମନୁଷ୍ୟା ପ୍ରାମେତ୍ରି ମିଳିବାନ୍ଦ୍ରେ ପ୍ରେରଣୀବ. ମେର୍କ୍ୟୁର୍ରିକି ଦା-  
ନାଥ୍ରେ ପ୍ରାମେତ୍ରିବାକି ଏହି ମନ୍ଦେଶବାନ, ରାଧାବନ୍ଦାପୁ ହେବି ପାଥେ ବେଳି  
ଦା-ବୁଝିବାନ ଗାମନିନ୍ଦ୍ରେବା ବୋଲମ୍ଭେ ଦାଶବ୍ୟଲ୍ପତିଥେ, ମନୀଶ ହିବେଲିବା ଶେଷ-  
ଦ୍ଵେଷ ନାଥ୍ରେବାନ ବୋଲି ଏକିମନୁଷ୍ୟା କାମିଦିବା କାମିଦିବା କାମିଦିବା  
ଦା ଶେଷଦ୍ଵେଷ ବେଳି ହାତିଲାନ୍ଦ୍ରେବା. ରାମି ଦ୍ଵେଷିମିଳି ବେଳି ଶେଷଦ୍ଵେଷ ମେର୍କ୍ୟୁ-  
ର୍ରି ଶେଷଦ୍ଵେଷିମିଳି କ୍ଷେତ୍ରକିରଣ୍ଦ୍ରେ ପାଥେ; ତାତକୀଳି ତାତକୀଳି ଗାମିଶବ୍ୟଲ୍ପତିଥେ  
ବୁଝିବା. ମେର୍କ୍ୟୁର୍ରି ବେଳି ନିନ୍ଦ୍ରେବା ଗାନ୍ତିକାନ୍ଦ୍ରେ ଅମିଶବ୍ୟଲ୍ପତିଥେ. ଏମି  
ଯାଏବାଦ ମେର୍କ୍ୟୁର୍ରି ବୁଝିବାନ ବୁଝିବାନ ବୁଝିବାନ ବୁଝିବାନ.


ତାତକୀଳି କ୍ଷେତ୍ରକିରଣ୍ଦ୍ରେ ମେର୍କ୍ୟୁର୍ରି ବୁଝିବାନ ଏକିମନୁଷ୍ୟା ପ୍ରେରଣୀ ଦା  
ମନୀଶ ଗାମିଶବ୍ୟଲ୍ପତିଥେ ଶେଷଦ୍ଵେଷିମିଳି ଏନ୍ଦ୍ରେବାନ ଏକିମନୁଷ୍ୟା ପ୍ରେରଣୀ.  
ଏମିନ୍ଦ୍ରେବାନ ଏନ୍ଦ୍ରେବାନ ଏନ୍ଦ୍ରେବାନ ଏନ୍ଦ୍ରେବାନ ଏନ୍ଦ୍ରେବାନ ଏନ୍ଦ୍ରେବାନ  
ଏନ୍ଦ୍ରେବାନ ଏନ୍ଦ୍ରେବାନ ଏନ୍ଦ୍ରେବାନ ଏନ୍ଦ୍ରେବାନ ଏନ୍ଦ୍ରେବାନ ଏନ୍ଦ୍ରେବାନ.

ଏମିଯାଏବାଦ ମନୀଶ ଗାମିଶବ୍ୟଲ୍ପତିଥେ ମେର୍କ୍ୟୁର୍ରି ବୁଝିବାଦ ଉତ୍ସିନ୍ ହେବାନ

მიმკრის, ვიდრე დედამიწა, ხოლო თავის გარეშემო ერთობლივ განტავდა ზანტად ტრიალებს.

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მერკურის გარეშემო ჰაერი არტყია და იქ ჰაერი ბევრად უფრო სქელია, ვიდრე დედამიწისა. რადგანაც მერკური დედამიწასთან შედარებით უფრო იხლოა მზესთან, ამიტომ იქ ვაცილებით უფრო თბილია, ვიდრე დედამიწაზე. ჩვენ რომ მერკურზე ასელი შევიძლოთ, სიცხე მოვყელოვს. სამაგიეროდ მერკურის მცხოვრები რომ ჯვეშვილს, ზაფხულის ცხელ დღეებშიაც-კი სიცივისაგან კანკალს დაიწყებს.

— მაშ მერკურზე არიან მხოვრებლები? იყითხავთ თქვენ. მერკურზე არის მიწა, წყალი, ჰაერი, სითბო, სინათლე. კველა ეს საქმიანისა სიცოცხლის ასალორძინებლად. ბევრი მეცნიერის აზრით, მერკურზე მცენარეებიცაა და ცხოველებიც.




ხოლო, რადგანაც მერკურის ბუნება სხვაანაირია, ვიდრე დედემიწისა, ამიტომ იქის რი მცნარეულობა და ცხოველები ჩვენსას არ უნდა ემზადეს ებოდეს. არის თუ არა მერკურზე აღამიანის მზგავსი გონიერი არსება, არავინ არ იყის. ხოლო იქ რომ ცხოვრებაა, ცხადია.

მერკური.

**ვენერა.** (რუსთაველით თტარიდი).

მერკურის შემდეგ დავაკვირდეთ ვენერას. ვენერა დიდი და ლამაზი ვარსკვლავია. ის ხან-და-ხან აღმოსავლეთისკენ

ბრწყინვას ცაზე. ზოგჯერ მშე ჯერ ჩასული არაა, მაგრამ კენერი მაინც სჩანს. ზოგჯერ კი დასავლეთით გამოწიდვის აზრა



ვ ვ ნ ე რ ა.

შზის გარეშემო შემოვლის ვენერა ანდომებს ორას ოცდა ოთხ დღეს, თექვსმეტ საათს, ორმოცდა უასტა და რვა წუთს; ერთი სიტყვით - თითქმის ორას ოცდა ხუთ დღეს. ბრწყინვას თუ არა ვენერა თავის გარეშემო, ჯერ გამორკვეული არ არის.

ტელესკოპით როცა შეისწავლეს მეცნიერებში ვენერა, იმის გარეშემო ჰაერი და ლრუბლები აღმოაჩინეს. აქედან ისიც ცხადია, რომ ვენერაზე წყალია: იქ ხმელეთიც არის, ზღვაც. ვენერა თითქმის ჩენი დედამიწის ხელაა, მასზე იური ახლოა მზესთან. იმიტომ ალიგ-ალიგ იქ შეტი სიცხე იცის, ვიდრე დედამ-წაზე. ვენერის კა იმგვარივე. როგორც ჩვენი. იქ ივივე ვარსკვლავები მოჩანან, რომლებსაც ჩვენა ვედავთ; ასე რომ დედამიწასა და კ. ნერას საერთო კა იქვთ და საერთო ვარსკვლავები.

ვენერიდან მაყურებელს კის სიცრტეში ჩვენი დედამიწა წარმოუდგება მეტად ლიმაზ და კაშკაში ვარსკვლავიდ. ლამე,

მე, შზის მოსავლემდე თოხი საათით ადრე. როცა იღმოსავლეთზე იმყოფება, მაშინაც შზის ჩასულიდან თოხი საათის შემდეგ ჩერშვება ხოლმე. ამგვარაც ვენერაც მერკურისავით ხან საღამოს ვარსკვლავია, ხან დოლისა. ხოლო ვენერა უფრო დიდია, უფრო ნათელი, უფრო ლამაზი და ცაშედაც შეტ ხანსა რჩება, ვიდრე მერკური.

როცა ვენერის მცხოვრებლები თავის კაზე ამ მოქაშე ვარს სკელავს უცქერენ, ალბად ერთმანეთს ეყითხებიან: — ცნოვრობენ თუ არა ნეტავი იმ ვარსკელავზე გონიერი არსებანი?

ისე როგორც ჩვენც ვიყითხავთ, არიან თუ არა ვენერაზე ადამიანებიო?

სიცოცხლის ასაღორძინებლად ვენერაზე ცველაფერია: სიტბო, სინათლე, ჰაერი, წყალი, მიწა. ამიტომ, მეცნიერთა აზრით, იქ უსათუოდ უნდა იყოს მცნარეულობა, უნდა არსებობდნენ ცხოველები. თავისი ზომითა და ბუნებით ვენერა იმდრენად წაგავს დედამიწას, რომ, ზოგი მეცნიერის აზრით, იქ უსათუოდ ადამიანის მზგავი გონიერი არსებანიც უნდა იყვნენ.

მეტკურისა და ვენერას შემდეგ ადგილი უჭირავს დედამიწას. შერკური და ვენერა დედამიწაზე უფრო ახალგაზრდანი არიან, რაღაც დედამიწის შემდეგ აღორძინდნენ. ისინი მზესა და დედამიწის შუა იმყოფებიან.

### მარსი (რესითაველით მარიხი).

დედამიწის შემდეგ მზის გარეშემო ტრიალებს ცოდომილი მარსი, რომელიც დედამიწაზე ხნიერია. მზიდან დაშორებულია ორას ათი მილიონი ვერსიონ და იმის გარეშემო შემოვლის უნდება წელიწადსა და სამას თუდა ორ დღეს. თითო წუთში გარბის თუდა ორ ვერსს.

მარსი მოჩანს ხოლმე ცაზე აღმოსავლეთით, შემოდგომაზე. იმით უნდა გაარჩიოთ, რომ დიდი ვარსკელავია, მოწითალი შუქი აქვს და არ ციმულებს. მარსი თავის გარეშემოც ტრიალებს და ანდომებს ამას თუდა ოთხ საათზე ცოტა მეტს.

ამიტომ დღე და ღამე იმგვარადვე არის მარსზე გაწესრიგებული, როგორც ჩვენ დედამიწაზე

დედამიწასთან შედარებით მარსი ბევრად უფრო პატარაა: დედამიწიდან ექვესი მარსი მაინც გამოიჭრება.

მეცნიერთა გამოკვლევით მარსზე არის ჰაერი, წყალი,

წელიწადის კველა დრო, ხოლო იქაური წელიწადის უდრის  
თითქმის ორ ჩვენს წელიწადს.

— რატომ? იყითხავთ თქვენ.  
ა, რატომ.

დედამიწაზე ჩრდილოეთსა და სამხრეთის პოლუსები ყონულით არიან დაფარული. მარსის პოლუსებიც გაყინულია. დედამიწაზე, რაც უფრო მიახლოედებით პოლუსებს, მით უფრო ცივა; რაც უფრო დაშორდებით და ეკვატორს დაუხლოედებით,—მით უფრო თბილა. იგრევა მარსზე.

ტელესკოპის შემწეობით შესაძლებელი ხდება მარსზე  
თოვლისა და ყინულის დანახვა.



8546

პიერი ამგვარიცვეა მარსის გარეშემო, როგორც დედამიწაზე; იქ არის ხმელეთისა და ზღვები. ერთი სიტყვით — მარსი პირ-წავარდნილი დედამიწაა თათქმის; იმისი ბუნება ძალიან წააგავს დედამიწისას. ხოლო დედამიწაზე ერთი მეოთხედია ხმელეთი, წყალი-კი სამი მეოთხედი; მარსზე შედარებით წყალი ცოტაა, ხმელები დიდი ზღვებია, არც

დიდი მოები, — უფრო ვაკე იღვილია. მარსზე ყველა მცხოვრილობა რობებია, რაც საქიროა მცენარეთა და ცხოველთა სალორა-ძინებლად. ამიტომ, მეტნიერთა აზრით, მარსზე უსათუოდ უნდა იყოს ცხოვრება: მცენარენი, ცხოველები და მათთან ადამიანიც.

მარსი დედამიწაზე უფრო ხნიერია. დედამიწა მარსს და შეს შეუარის, მაშასადამე ჯერ მარსი უნდა მოსკილებოდა პირვეანდელ საერთო ნისლს, შემდეგ დედამიწა.

რადგანაც მარსი დედამიწაზე ხნიერია, ამიტომ ცხოველები და ადამიანნი იქ ბევრად უფრო იდრე ალორძინდებოდნენ, ვიდრე დედამიწაზე. ამიტომ მარსელი ადამიანი თავისი გონებითა და განვითარებით ჩვენშე! ბევრად დაწინაურებული იქნება. თავის თავად ცხადია, რომ გარეუნობით ის, შესაძლებელია, ჩვენ სრულებით არა გვგვანდეს. მეტნიერთა გამოკვლევით მარსზე ყოველი საგანი, რაც დედამიწაზეა იმის მესამედს იწონის; შეგოლითად ჩვენი საში ფუთი მარსზე აიწონის მხოლოდ ერთ ფუთს. ეს იმით აისსნება, რომ მარსის მიწა იმდენად მეტოვი არ არის, როგორც ჩვენი, — ამიტომ მას მიმზიდველობის ძალაც ნაკლები აქვს. საგნის წონა-კი შედეგია მიწის მიმზიდველობისა: რაც უფრო ძლიერ იზიდავს მიწა საგანს, მით უფრო მძიმეა ეს უკანასკნელი.

ჰაერი მარსზე იმგვარივეა და იმდენადვე მცენივია, როგორც დედამიწაზე. ამ გარემოებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ სიმჩატისა გამო ფრენა იქ ბევრად უფრო იდვილი იქნება, ვიდრე დედამიწაზე. ამის მიხედვით ზოგიერთი მეტნიერი ამტკიცებს: მარსზე ძალიან. ბევრი უნდა იყოს მფრინავი ცხოველები და ადამიანსაც იქ ფრთხები ექნებათ.

ყოველ შემთხვევაში, უფრთოუც რომ იყოს იქ ადამიანი, საფრენი მანქანები მას დიდიხნის გამოგონილი ექნება, ჩვენ-კი ახლა ვიმტკრევთ თავს და ხშირად კისერსაც!

შერკურსა და ვენერს მოვარე არ გააჩინათ. მარსის გარეშემო-კი ორი მოვარე ტრიალებს, მაგრამ შედარებით ჩვენ

ერთ მოვარესთან შარსის მოვარეები მეტად დალეულდებოდნენ.

თითქმის ის გვარიცე როგორც ჩვენი მეტყური, მხოლოდ  
მარსიდან არ სიანს. ზოგიერთი ჩვენი ვარსკვლავი იქ უფრო  
დიდი მოახანს. დედამიწა იმყოფება მარსსა და მზეს შუა, ისე,  
როგორც ვენერა—დედამიწასა და მზეს შუა. მიტომ მარსის  
ცაზე ჩვენი დედამიწა მოსიანს ისე, როგორც ჩვენ  
ცაზე ვენერა. დედამიწა იქ წარმოადგენს კაშაშა ვარსკვლავს, რომე-  
ლიც ხან დასავლეთზე პრეყინის რამდენიმე საათის განმა-  
ლობაში მზის ჩასვლის შემდეგ, ხან ღმოსავლეთზე, მზის ამ-  
სკვლის წინ. ამგვარად ჩვენი დედამიწა მარსელებისათვის ხან  
საათმოს ვარსკვლავით, ხან დოლისა.

მარისის ასტრონომები სინჯავენ მას თავისი ტელესკოპებით და რკვლევები იმის ბუნებას.

„ამ ცოდნილზე ჰაერია, ხმელეთი, ზღვა, სიობო და სინათლე; მაშესადამე უსათუოდ უნდა იყოს სიცოცხლეები; მცენარეებისა, ახოველები, „—სწერს ალბათ ვინშე იქაუჩი მე-მეცნიერი ჩვენი დედამიწის შესახებ.

„Ե՞ս Առողմանու ոմքընալ Բացօքս հայենան, և որմ ոյ պատրաստ պնդա ոչ այն իշխանացու զանոցըն արևեծան, “—Եթիւն առծագ մըսուն յ մըսունընըն.”


მარსი დედამიწაზე ხნიერია, ამიტომ, შესაძლებელია, მი-  
სი მცხოვრებლები ამგვარად განვითარებული იყვნენ, რომ  
უკვე გამოვლინდი ჰქონდეთ ისეთი ტელესკოპები, რომლები-  
თაც დედამიწაზე ჩვენ სოფლებსა და ქალაქებს პერიფერია.

ବ୍ୟାପିକୁଣ୍ଡଳୀ. (ର୍ଯ୍ୟାସତ୍ୟଗୁଣଦିଲ୍ଲାମ ଶ୍ରୀମଦ୍ଭରତ).



კიდრე დედამიწაზე. მაგალითად — ჩვენი ფუთი იქ იქნება უდიდესი ფუთ-ნახევარი,

მზესა და იუპიტერს შუა შეიდას ოცი მილიონი ვერსია. მზის გარეშემო შემოვლას ანდომებს ჩვენებურ თერთმეტ წელიწადს, ათ თვესა და თერთმეტ დღესა.



იუპიტერი.

ამავე დროს თვეისი ლერძის გარეშემო იუპიტერი მეტად სწრაფად ბრუნავს — ათი საათის განმავლობაში. ამგვარად იუპიტერზე დღე და ლამე უდრის ათ საათს.

გაზაფხულზე და ზაფხულობით იუპიტერი თითქმის შუაგულ ცაზე მოსჩანს. ის კველაზე უფრო დიდი და კაშაში ვარსკვლავია, არ

კიმურებს და ცაზე

ალაგს იცვლის, — მოძრაობს. სიღიღისა გამო მისი პოენა ცაზე მეტად დაფილია.

რადგანაც იუპიტერი ბევრად უფრო შორსაა მზეზე, ვიდრე დედამიწა, ამიტომ იქიდან მზე გაცილებით უფრო პატარა მოჩანს და იუპიტერს ნაჯეობს სინათლესა და სითბოს უგზვინის.

იუპიტერის ცაზე მუდამ ლრუბლებია, რის გამო მისი ზედაპირის დანახვა ტელესკოპით შეუძლებელია. დედამიწაზე ლრუბლებს აჩენს მზის სითბო, მზის სითბოს ზეგავლენით ხმელეთზე და ზღვაზე წყალი ორთქლიდ იქცევა; ორთქლი მსუბუქია, მაღლა ადის, გროვდება, სქელდება, თან-და-თან ციფდება, ისევ წყლიდ იქცევა და წვიმის სახით უკანვე ბრუნდება დედამიწაზე. როგა ჰაერი ძალიან ციფია, მაღლა — წვიმის



წვეთები იყინებიან და ხან სეტუვალ, ხან თოფლადი გარემოს კუთხით გვიან ხოლმე.

იუპიტერზე ვზეს არა აქვს იმდენი ძალა, რომ ბევრი ღრუბლები გააჩინოს: იუპიტერის კა მუდამ სქელი ღრუბლებით არის დაფარული. მაში საიდან ჩნდებიან ეს ღრუბლები?

ამგვარ ხანაშია ახლა მეცნიერთა გამოკვლევით იუპიტერი. თუმცა ის დედამიწაზე აღრე გაჩნდა, მაგრამ ჯერ მას კანი არ გამაგრებია, რადგანაც ის დედამიწაზე ბევრად უფრო დიდია.

თავდაპირველად ისიც გახურებული ნისლი იყო; ახლა  
კი უკვე ძლიულებული სითხეა: წყალი, რკინი, მიწა—ყველა ერ-  
თად არის აჩეული. საკუთარი სიცამისა გამო თართვები შეუტე-  
რებლად აღის ჰაერში და იქ იკრიბება სქელ ღრუბლებად.  
წყიმა და ნიაღვარი იუპიტერზე ხშირია; მზის შუქი მას არა  
სწოდება ჯერ-ჯერობით.

ଓৰ্পি ক্ৰেৰি তাৰ-লা-তাৰ গোকৃলদৰ্শক, শ্ৰীগুৰুষ্টৈৰ্য্যা, লাকে-  
লাঙদৰ্শক, গুণেলদৰ্শক, প্ৰেমিগুণদৰ্শক, শ্ৰেণ বৰুৱা লা স্মৰ-

აღორძინდება და სიცოცხლეც გაიფურჩქნება. მან უნდა გვალოს ყოველივე ის, რაც ჩვენმა დედამიწამ გიარა.

მაგრამ ამგვარ ცულილებისათვის საჭიროა რამდენიმე მილიონიათვე  
ნი წელიწადი.


იუპიტერს გარეშემო უტრიალებს ხუთი მთვარე: ამათვან  
ზოგი საკმაოდ დიდია. ერთი მათვანი ხუთი ჩვენი მთვარის  
ოდენაა. მეცნიერთა აზრით იუპიტერი ჯერ არ არის განეი-  
თარების იმ ხანაში, რომ ზედ მცენარეულობასა და ცხოვე-  
ლებს შეეძლოთ არსებობა. იმის მთვარეებშეუკუნი, შესაძლებე-  
ლია, ცხოვერება იყოს.

იუპიტერის კაზე დედამიწის დანახვა შეეძლებელია; სი-  
შორისა გამო სრულებით არა სჩანს, ისე როგორც ჩვენს კა-  
ზე ბევრი ისეთი ვარსკვლავია, რომელსაც ჩვენ თვალით ვერა  
ვხედავთ, სიშორისა გამო.

იფ. გომართელი.

(შემდეგი იქნება).





## ჩ 0 ნ ე თ ი.



ველამ იცის, რომ სადღაც შორს არის ხა-  
ხელმწიფო „ჩინეთი“. უველამ იცის, რომ  
დღეს იქ დიდი ამბოხებაა. მაში გავიცნოთ ჩი-  
ნეთი და ჩინელები.

ჩინეთის იმპერიას უჭირავს მთელი შუა აზია,  
თვით ჩინეთი და მანჯურია. ჩინეთი სიერკით  
რუსეთის სახელმწიფოს ნახევარს უდრის, მცხოვ-  
რებთა რიცხვით კი დაახლოვებით სამჯერ შე-  
ტი იქნება.

ჩინეთი იყოფა ორ ნაწილად: სამხრეთი და ჩრდილო ჩი-  
ნეთი. ჩრდილო ჩინეთი უფრო დაბლობია, მასთან უტყვეო.  
სამხრეთ ჩინეთი კი - მთა-გორიანი და ტყიანია. პავა სამხრეთ  
ჩინეთისა უფრო თბილია და ნოტიო, ვიდრე ჩრდილოეთისა.  
ჩრდილოეთში ზამთაობით ყინვები იცის და თოვლიც მოდის,  
თუმცა მცირე ხნით. სამხრეთ ჩინეთში კი თოვლი სრულიათაც  
არ იცის. ჩრდილო ჩინეთში ყანები ერთჯერ ან ორჯერ იძ-  
ლევიან მოსავალს; სამხრეთ ჩინეთში კი ორჯერ ან სამჯერ.

ჩინეთი დასახლებულია თოთქმის ერთი ტომის ხალხით—  
ჩინელებით, რომელთა რიცხვი 360 მილიონს უდრის. ჩინელი

შეუა ტანისაა, სახე მოყვითალო ფერისა აქვს, თბა-შევრმა აშენ  
წინა მხრიდგან მოპარსული აქვს, მხოლოდ უკან დიდი ნაწ-  
ნაუკი ჰქიცია.

ჩინელები სარწმუნოებით კონფუცის, ლიონდეს, ბუდდის და გავმაღლის მოძღვრების აღიარებენ; თაყვანსა სცემზე ცას, მიწას და ბუნების ძალებს. ბერტს „ბუდდა“ სწავს, რომლის ქანდაკება ყველა ეკლესიებში აქვთ. ბუდდას მიმდევართა ეკლესიები მორთულია ბუდდას და სხვა წმინდანების ქანდაკებით და სურათებით.



წარმონებული ჩინები.

ჩინელების ერთი ნაწილი ადიდებს ძველ ჩინელ მეცნიერს კონფუცის. კულტურა ჩინელები კი თავიანთ მიუდიდებულ წინაპრების სულებს სწირავენ მსხვერპლებს.

ჩინელები შესდევენ ხენა-თესებს და ამ დარგში დიდ უნარ-საც იჩენენ: მოებზე და მთის კალთებზედაც კი აშენებენ ბა-ლებს და რვავენ მცენარეულობას. ერთ იღლ მიწასაც არ აკ-ლენენ. ჰყავთ შინაური ცხოველებიც, რომლებსაც იშველიერენ მიწის მუშაობის დროს, მაგრამ მათ ხორცს არა სკამენ და



რძეს არა სვამენ. კანონის ძალით აკრძალული აქვთ მიწის მიწის საქონლის ხორცის ჭამა, ოომელიც მიწის დამუშავების დროს ადამიანს ეხმარება. ჩინეთში მოსყიფთ ბრინჯი, რომელსაც პურის მაგივრად ხმარობენ. ჩინელმა არ იცის მოსვენება: იგი ზამთარ-ზაფხულ მუშაობს თავის პატარა ნაკერ მიწაზე, რომ გამოკვებოს თავი და ცოლ-შვილი.

ჩინეთში ძალიან სივიწროვეა მიწისა: ზოგს ისე პატარა ნაკერი მიწა აქვს, რომ ზედ ჩვენებური ურეში ძლიერ მოტრიალდება; ამიტომ იქ ბევრი გაჭირვებული ხალხია. ვინც ხვნა-თე-სვას მისდევს, იმას საპატიო ალაგი უჭირავს სახელმწიფოში. დიდი მნიშვნელობა აქვს ავრეთვე მეოვეზეობას. ზღვები და მდინარეები იქ თევზებით სავსეა. გარდა ამისა ჩინელები არხებში და საბრინჯე მინდვრებში ამრავლებენ თევზს. შემოდგომაზედ, როდესაც ბრინჯს მოკრეფენ, მინდვრებში წყალს უგდებენ, შეგ პატარა თევზებს უშვებენ, რომლებსაც გაზაფხულზე იჭერენ.

ვაჭრობა ჩინეთში მეტად გაჩაღებულია და ვაჭრობის დიდი უნარიც აქვს იქაურ ხალხს. იმის ხელშია შინაგანი ვაჭრობა მთელ იმპერიაში. ჩინელები სხვადასხვა ხელობაშიაც მარჯვები არიან. ფაიფურის, კურკლის, აბრეშუმის ნაქსოვების, ხისა და სპილოს ძვლის ჩუქურთმის მოშალებაში ბადალი არა ჰყავთ.

განათლება იქ უძველეს დროიდან გავრცელებულია. სახალხო სკოლები ევროპიელებზე აღრე მოაწყვეს, აგრეთვე ევროპიელებზე აღრე მოაგონეს წიგნის ბეჭდეა, კომპასი და თოფის წამალი. მაგრამ ჩინელები ერთ წერტილზე შეჩერდნენ: როგორნიც წინად იყვნენ, ისეთივე ახლაც არიან: ყველაფერში ძველ წესს ებლაუკებიან და დიდ ცოდვად მიაჩინიათ ძველი მამაპაპეული წესის შეცვლა და ახალის შემოღება. ბავშვებს უმეტესად იმას ასწავლიან, რომ პატრივისცემით მოეცყრიან შშობლებსა და წინაპართ, რომელთა აზრი მათთვის წმინდაა. არა-

ვითარი შექნიერება იქ არ არსებობს, გარდა არითშეტიკებული რომელიც ვაჭრობისათვის მეტად საჭიროა.

ჩინური წერა შეტად ძნელია: ასოების მაგიურად აუარე-



ჩინელების ტაძარი.

ბელი ნიშნებია, რომლის შესწავლას ცოტანი ახერხებენ.

ჩინელები ხასიათით შეტად შშეიდი და კეთილი ხალხია;


ქცევა ერთობ თავაზიანი აქვთ. ამასთან ვე ძალიან სტუდიართ-  
მოყვარენი არიან. მათი საყვარელი გასართობია უწყვეტისად აშენება,  
შეუშენები, თეატრში სიარული და ყომიარბაზობა.


იქაური ხალხი უმეტესად სოფლებში ცხოვრობს: მეტად  
მკიდროდ არიან დასახლებულნი. იდგილის უქონლობის გამო  
ზოგჯერ ჩინელები მდინარეებზე, ტივებზე და დიდ ნავებზე  
აშენებენ სახლებს; იგრედვე ათასობით გამოქვაბულებში ცხოვ-  
რობენ.

რადგანაც ჩინეთში საქონელი ცოტაა, ამიტომ ყოველი-  
ვ ტვირთს მეშები ეზიდებიან (კულები) — ურმებში და სახო-  
გადოდ ეზილებში შემბული ადამიანები.

ჩინეთს განაგებდა დღვეანდლამდის „ცის შეილი“ — იმპე-  
რატორი. იმის უფლება განუსაზღვრელად ითვლებოდა, საქმით  
კი მართვა-გამგეობა კარის კაცების, მეფის, ნაცვლების და მო-  
სელე მანდარინების ხელში იყო. ესენი ცველანი თავისთვის  
უფრო ზურნავდნენ, ვიდრე ხალხის კეთილდღეობისთვის. ამი-  
ტომ მოელი ეს პვეუანი უმეცარი და ცული გამგეობისაგან  
სწუხდა. ბევრი უმუშევარი დაძრწოდა იქა. მრეწველობა (ქარ-  
ხნები) განვითარებული არ იყო. შეწუხებულმა ხალხმა ხმა  
ამოილო და კარგი მართვა-გამგეობა მოითხოვა. აი სწორედ  
ამიტომ მოხდა იქ ამბოხება. დღეს ჩინელების ცხოვრების პი-  
რობები ცოტათი მაინც შეიცვალა და იმედია ხალხის ყოფა-  
ცხოვრებაც გაუმჯობესდება.

დ. ბურჭულაძე.





1912 წლის 26 მარტი  
ოლიმპიკის გადასახვა

ბეჭი „ტიტანიკი“.

## გეგი „ტიტანიკი“-ს დაღუპვა.

ეს ორი კვირის წინად დაიღუპა ინგლისიდან აშერიკაში მიმავალი უდიდესი გემი მთელ ქვეყანაზე — „ტიტანიკი“. იგი დაეტაკა უზარმაზარ ჰინულის მიას, რომელიც უკეანეში შისცურავდა. დაიღუპა 1,600 ადამიანი. ტიტანიკი იყო ახალ გაკეთებული გემი. პირველად მიემგზავრებოდა ინგლისიდან ნიუ-იორკში, (აშერიკაში). სიგრძით 101 სა-კუნი იყო, რვა სართული ჰქონდა; იტევდა 3,500 მგზავრს და 850 გემზე მოსამსახურე მეზღვაურს. ერთობ მდიდრული და დიდებული მოწყობილი იყო: ჰქონდა გიმნასტიური სავარჯიშო, სართულებში ასასვლელი მანქანები, უმავთულო ტელეგრაფი, რომ ნაპირებთან დამოკიდებულება არ შეწყვეტილიყო და ახალი ამზები გაეცოთ მგზავრებს და სხვა მრავალი გასართობი და თავის შესაქცევი.

სხვათა შორის გემზე დაიღუპა რამდენიმე მდიდარი მილიონერი, მწერალი, არტისტი და სხვ.



— 1 —



## შესანიშნავი რიცხვი.

საკვირველ თვისებას წარმოადგენს რიცხვი 142857. ის რომ  
გაეამრავლოთ 2, 3, 4, 5 და 6, მივიღებთ ერთხა და იგი-  
ვე ნიშნებისაგან შემდგარ რიცხვებს.

მაგალითად:

$$142857 \times 2 = 285714,$$

$$142857 \times 3 = 428571,$$


$$142857 \times 4 = 571428,$$

$$142857 \times 5 = 714285,$$

$$142857 \times 6 = 857142,$$

$$\text{გაეამრავლოთ } 7\text{-ზე, მივიღებთ } 999,999.$$

გაეამრავლოთ ბოლოს რეაზე, მივიღებთ 1.142,856;  
მოვაკლოთ ამ უკანასკნელ რიცხვს მარტხნა მხრის პირველი  
ციფრია (1) და მოუმატოთ მარჯვენა მხრის უკანასკნელ ცი-  
ფრის, მივიღებთ უწინდელსავე რიცხვს, ე. ი. 142857.



მე-3 №-ზი მოთავსებულ რებუსის აღსნა:

ქარგი ქენი—ქვაზე დასდე; გათარე—წინ დაგნედება.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომუ. თ. პ. ი. თუმანიშვილ

# 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საუძინვიდო ქერნალ

## „ნაკადული“-ზე

◆ ველი ი დი გ ე რ ა დ ი ◆

ფურნალი გამოვა ჩეცულებრივი პროცესით, საგანგებოდ არ-  
ჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; შონაწილე-  
ობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი შეტყობინები და პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეკუთა:

**24** წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“  
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

საწერად მიკუმარ წლიურ ხელის მომწერლებს

◆ დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-  
არავი აღ. მიხიანაშვილისა. ◆

ფასი ფურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მ. ნა-  
ხვარ წლით—3 მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის

**24** წიგნი—3 მან., მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან.  
ფურნის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ფურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან. და მოზრდილ.  
1910 წ. ნება დართულია კავკისის ოლქის სამოსწავლო  
მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად.

ხელის მოწერა შეიძლება ტუილისში—„ნაკადულის“ რედაქცია-  
ში, ზემანაშვილას სახ., გოლოვინ. მრ. № 8. რედაქცია „На-  
кадули“, Головинский пр., № 8, და წერა-კითხის საზოგადოე-  
ბის წიგნის მადაზიანი, სასახლის ქან. ქუთაისში—ისიდორე პორ-  
ტიქესთან, თ. მთავრისშედებისა და მარიამ ქაუხებისშედებისან. სამტკრედია-  
ში—ივანე გლავგოვან. ფოთში—თეოტიაზე კანდიდაციან. ბათომ-  
ში—ქ. სოფიო ნაკადულისთან და ტრადიციის ინასარიძესთან. დ. ხონ-  
ში—ეჭატაშინე გასიღის ახელ ბატრაქესთან. ოზურგეთში ს. ლან-  
ჩიუთში—ლევ იმნაძესთან. თელავში—ვახო პატარაშეიდეთან. ახალ-  
ციხეში—კონსტანტინე გვარაშვილესთან. ბაქოში—განილ ასკელედიან-  
თან და ივანე კლაშვილთან. გორიში—ნინო ლომიურთან და ქეთევან  
ჯავახიშვილთან. სოხუმში—ქ. შერიამ ანჩაბეგის 6. კიათურა-  
ში—ივანე გომიელავრთან. განჯაში—ა. აბდექაშვილის. ერევან-  
ში—ქ. ადამშარაძესთან. სიღნაღმში—ნ. ახშეტელაშვილთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომუშებული თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

# „ნაკადული“-ს რედაქციაში

მართვისა  
სამსახურის  
მიერაცხოველი

დ ०

წერა-კითხების სახითადოების წიგნის მაღაზიაში იქიდება  
შემდეგი წიგნები:

- 1) ჭლაპრები ვილპელმ და იაკობ გრიმისა.—ფასი. . . 30 კ.
- 2) ტომის თავგადასავალი,—თხ. მარკ ტვენისა, ფასი. 50 კ.
- 3) რას გვიამბობს ოთახი,—თხ. ავენარიუსისა, ფასი. 20 კ.
- 4) დასურათებული ახაწყობი ანბანი,—ფასი . . . 1 ბ.— კ.
- 5) სურუჯი და მარლეი,—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ  
დიკეინსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . 25 კ.
- 6) დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები ჰ. ქ. ან-  
დერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა  
და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . . 30 კ.
- 7) ბავშვობა და სიურმე,—მოთხრობა ლევ ტოლსტო-  
ისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 60 კ.
- 8) ორი მხატვარი,—თარგმანი დ. ავალიონისა, ფასი . 15 კ.
- 9) სამშობლო ბუნების ხარკე, დასურათებული საყმა-  
წვილო მოთხრობები,—რვანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.
- 10) ამხ. „ცისკრის“ გამოცემა,—ლევ ტოლსტოის მო-  
თხრობები, ფასი . . . . . 5 კ.
- 11) შობა, მოთხრობა გურიის ქაფერებიდან,—ნინო ნა-  
კაშიძისა, ფასი . . . . . 5 კ.
- 12) ახალგაზრდა მეცის სიზმარი და დევი—ეგოისტი,  
ორი მოთხრობა ოსუარ უაილდისა, თარგმ. ივ.  
მაჭავარიონისა, ფასი . . . . . 5 კ.